

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო  
უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამა - „ბიზნესის ადმინისტრირება“

ჯემალ შარაშიძე

„საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასება“

(ნაშრომი წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად)

სპეციალობა: „ბიზნესის ადმინისტრირება“

მეცნიერ-ხელმძღვანელი:  
ბიზნესის მართვის დოქტორი,  
ასისტენტ-პროფესორი რ. ცინარიძე

ბათუმი-2021

## სარჩევი:

შესავალი-----3

**თავი I. საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების თეორიული საფუძვლები-----6**

1.1 საინვესტიციო პროექტების არსი მართვის მეთოდები და შეფასება-----6

1.2 პროექტის შერჩევა, შესრულება, მონიტორინგი და პროექტის შესრულების შემდგომი შეფასება-----20

1.3 საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასება-----28

1.4 საინვესტიციო პროექტების დაფინანსების წყაროები-----31

**თავი II. საინვესტიციო გარემო საქართველოში და საინვესტიციო პროექტების მართვა ქართულ კომპანიებში-----36**

2.1 საინვესტიციო გარემო საქართველოში-----36

2.2 საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდები ქართულ კომპანიებში ----- 42

2.3 საქართველოში განხორციელებული მსხვილი საინვესტიციო პროექტები-----47

2.4 კვლევითი ნაწილი-----51

დასკვნა-----57

გამოყენებული ლიტერატურა-----60

დანართები და დამატებები-----62

## ანოტაცია

კაპიტალის გადინება გლობალურ სამყაროში სხვადასხვა ტენდენციებით ხასიათდება, ეს ტენდენციები ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, სწორედ რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს ინვესტიციებს და სწორად გათვლილ საინვესტიციო პროექტებს. პროექტების ფორმირება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვისაც აქტუალური და ხშირ შემთხვევაში აუცილებელიც ხდება.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ინვესტიციებთან, კერძოდ საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები. დახასიათებულია ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი და ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საინვესტიციო პროექტების განვითარებაზე, აღწერილია თუ როგორ მოქმედებს საინვესტიციო პროექტები ქვეყნის ეკონომიკაზე. განხილულია, თუ როგორი ეფექტიანობით ხასიათდება ინვესტიციები და მასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდების თავისებურებანი, მისი განვითარების პრობლემები და შესაძლებლობები საქართველოში.

სამაგისტრო ნაშრომში ასევე განხილულია ინვესტიციების დაფინანსების წყაროები, ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის გათვალისწინებით არსებული და პოტენციური ინვესტიციები მათი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. შევეცადეთ მოგვეხდინა ქვეყანაში არსებული მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხილვა, ადგილობრივი ინვესტიციების მოსაზიდად ქვეყანაში სასურველი საინვესტიციო გარემოს პირობების განსაზღვრა-დასაბუთება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს განვითარებას.

ნაშრომში მოცემულია კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ ესმით საზოგადოებას ინვესტიციები და მასთან დაკავშირებული მოვლენები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და აგრეთვე თუ როგორი საინვესტიციო გარემოა საქართველოში ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის.

## Annotation

Capital outflow is characterized by various tendencies in the global world. These tendencies have significant impact on a country's economy. That is exactly the investments and accurately calculated investment projects that make a great contribution into the development of the country's economy. Formation of such projects is becoming actual and even necessary in many cases for the countries with transitional economy, including Georgia.

Theoretical and practical issues related to the investments, particularly to the investment projects are discussed in this Master Thesis. The investment climate of the country and the factors which have impact on the development of the investment projects are described. It describes how the investment projects affect the country's economy. It discusses the efficiency the investments have and the features of assessment methods of the investment projects related to them, problems and opportunities of its development in Georgia.

The Master Thesis also discusses the sources to finance the investments, existing and potential investments considering the investment climate of our country, and their importance for the development of the country's economy. We tried to discuss the large investment projects existing in the country, to determine-substantiate the conditions of the preferred investment environment to attract the local investments, which significantly determines the development of the investment environment of the country.

The Thesis provides a research on how the society understands investments and the events related to them, their pros and cons and also what kind of investment environment is there in Georgia for the local and foreign investors.

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** ინვესტიცია არის მიმდინარე მოხმარებაზე უარის თქმა, მომავალში შედარებით მეტი შემოსავლების მიღების სანაცვლოდ და შესაბამისად ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების კვლავწარმოებას უზრუნველყოფს წარმოადგენს საინვესტიციო სფეროს, საინვესტიციო სფერო რეგულირდება საერთო საბაზრო კანონებით, (მოთხოვნა-მიწოდების კანონით, ფულის მიმოქცევის კანონით, კონკურენციის კანონით, ეკონომიკური წონასწორობის კანონით და ა.შ) და ამ კანონებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია საინვესტიციო პროექტების მართვის ეფექტიანობის შეფასება, ამაღლება და მასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა. ამ პრობლემების გადაჭრა მხოლოდ სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობის გაზრდის ან დამატებითი სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფის გზით შეუძლებელია, რადგან ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსები ყოველთვის შეზღუდულია, ვინაიდან აუცილებელია წარმოების სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგების მხარდაჭერა და საინვესტიციო პროექტების განხორციელება სოციალურ სფეროში.

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის გადაუდებელი ამოცანაა ეკონომიკური ზრდის საინვესტიციო ეფექტიანობის ამაღლება. მხოლოდ ეს დაეხმარება ქვეყანას დაგროვილი მწვავე პრობლემების გადაჭრაში და ბიძგს მისცემს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას. ინვესტიციებისათვის საჭიროა კაპიტალის დაგროვება და საკრედიტო რესურსი, ამიტომ როგორც ბიზნესი ისე მთავრობა ცდილობს მოიძიოს როგორც ინვესტიციები ასევე მისი გამოყენების რეცეპტები (მხოლოდ ინვესტიციების მოზიდა კი არ უნდა იყოს მთავარი, არამედ დაგროვილი სიმდიდრის შენარჩუნებაც). უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი შემოდინებების გარეშე შეუძლებელია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. ამასთან, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტიანობის ამაღლებას, პირობების შექმნას მაქსიმალურად მომგებიან, პერსპექტიულ საწარმოებში ისეთ დაბანდებათა უფრო აქტიურად განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს სწრაფ უკუგებას და იძლევა შესაძლებლობას მაქსიმალურად გაიზარდოს როგორც საწარმოების, ისე მოსახლეობისა და ბიუჯეტის შემოსავლები. ამის გარდა,

საწარმოების საინვესტიციო პროექტების მართვის ეფექტიანობის ამაღლება მოითხოვს მათი კაპიტალიზაციის მნიშვნელოვან ზრდას, რაც შექმნის ეკონომიკურ საფუძველს საწარმოს საინვესტიციო რესურსებისა და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენებისათვის.

კომპანიის საინვესტიციო გადაწყვეტილებების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტურად მოახდენს კომპანია გრძელვადიანი კაპიტალური პროექტების ანალიზს და შეფასებას. ფინანსური მენეჯერის მიერ საინვესტიციო პროექტების ფინანსური ანალიზის ჩატარება და ადეკვატური შეფასება იძლევა საშუალებას, კომპანიამ მოახდინოს ისეთი საინვესტიციო პროექტების იდენტიფიცირება და შემდგომი რეალიზაცია, რომელიც პირდაპირ ან ირიბ ზემოქმედებას მოახდენენ ბიზნესის მფლობელთა კეთილდღეობის ზრდაზე, ანუ სხვაგვარად კომპანიის საბაზრო ღირებულების კაპიტალიზაციაზე.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** ნაშრომის მიზანია შეფასება გაუკეთდეს ქართულ კომპანიებში საინვესტიციო პროექტების გამოყენებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, შეფასდეს საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა, საინვესტიციო პროექტების მენეჯმენტის არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები.

კვლევის ამოცანაა საქართველოში არსებული კომპანიების საინვესტიციო პროექტების მენეჯმენტის, თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების გამოკვლევა და შესწავლა, კვლევის შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების ჩამოყალიბება კომპანიებში საინვესტიციო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფასთან დაკავშირებით, ამასთანავე არსებული საინვესტიციო კლიმატის შექმნის ფონზე ცალკეულ საინვესტიციო პროექტების მიზნობრიობისა და ეფექტიანობის შესახებ არსებული ხარვეზების გამოვლენა.

**კვლევის საგანი და ობიექტი:** კვლევის საგანს წარმოადგენს ეკონომიკის სხვადახვა სფეროში განხორციელებული, მიმდინარე და პროგნოზირებული საინვესტიციო პროექტები და მათი მნიშვნელობა ქართული კომპანიებისათვის.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საინვესტიციო პროექტების მენეჯმენტის - ეფექტიანობის შეფასების ცალკეული მეთოდები, მისი განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ურთიერთობები.

**კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები:** ნაშრომის კვლევისათვის გამოყენებულია საკანონმდებლო აქტები, როგორცაა საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე გამოყენებულია ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების თეორიულ-გამოყენებითი სახის ნაშრომები საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით, კვლევისთვის გამოყენებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

**კვლევის მეთოდები:** ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავებული იქნა დასკვნები და რეკომენდაციები, კვლევისას გამოყენებულია რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები, კვლევა წარმოდგენილია კითხვარის და ანალიზის სახით, კვლევა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, გამოიკითხა რამდენიმე ადამიანი.

**ნაშრომის სტრუქტურა:** საბაკალავრო ნაშრომი გადმოცემულია კომპიუტერზე ნაბეჭდ თაბახის 74 გვერდზე. შედგება შესავლის, 2 თავის, 8 პარაგრაფის, კვლევისა და დასკვნისგან, ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია, დანართები და დამატებები

# თავი I.საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების

## თეორიული საფუძვლები

### 1.1 საინვესტიციო პროექტების არსი, მართვის მეთოდები

სანამ უშუალოდ საინვესტიციო პროექტების არსის გაანალიზებაზე გადავიდოდეთ, ცოტა რამ ვთქვათ ივესტიციების შესახებ:

“გ. კურტანიძის შეხედულებით „ინვესტიციების ცნებაში იგულისხმება დანახარჯების ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება განსაზღვრულ პერიოდში კაპიტალის მიზანმიმართული ფორმით ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და სფეროში, სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში მოგების მიღებისა და ინვესტორთა, როგორც ინდივიდუალური მიზნების, ისე დადებითი სოციალური ეფექტის მიღწევისათვის.“ (კურტანიძე, 2008:5-6)

„საქართველოს კანონის „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“- თანახმად, ინვესტიციებად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ასეთი შეიძლება იყოს:

1. ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
2. უძრავი და მოძრავი ქონება მიწა, შენობა-ნაგებობები და სხვა მატერიალური ფასეულობა;
3. მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება, პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“ და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა;
4. სხვა ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება”  
(საქართველოს....,2019:2)

„ინვესტიციების როგორც ეკონომიკური კატეგორია განიმარტება შემდეგნაირად: ინვესტიციები-ეს არის რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების დაბანდებანი პროექტებში, რომელთა განხორციელებას მივყავართ მატერიალურ-ნივთიერი და ინფორმაციული ფორმით რეალური სიმდიდრის ნამატის მიღებამდე, რასაც თან ახლავს ფულადი სიმდიდრის ნამატის ან მხოლოდ ამ

უკანასკნელის ნამატი (საზოგადოებაში ფულადი საშუალებების გადანაწილების ხარჯზე)“. (ქოქიაური, 2007:159)

ასე რომ, ინვესტიციები როგორც ეკონომიკური კატეგორია წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც ჩნდება ინვესტიციური პროცესის მონაწილეთა შორის ინვესტიციური რესურსების გამოყენების გზით, წარმოების გაფართოების და სრულყოფის მიზნით. ინვესტიციების პროცესის სუბიექტების მიხედვით საინვესტიციო პროცესის მონაწილეები არიან:

- სახელმწიფო;
- კომპანიები;
- კერძო პირები.

სახელმწიფოს შეუძლია, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხარეზე მიიღოს მონაწილეობა საინვესტიციო პროცესში. აღმასრულებელ ხელისუფლებას უზარმაზარი თანხები სჭირდება თავისი საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც უკავშირდება კაპიტალურ დაბანდებას საზოგადოებრივ ნაგებობათა, გზატკეცილების საცხოვრებელი სახლების მშენებლობას თუ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. მსგავსი პროექტების დაფინანსება სხვადასხვა გრძელვადიანი სავალო ვალდებულებების-ობლიგაციების გამოშვებით ხდება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები მიწოდების მხარეზეც გამოდიან. თუ, მთავრობას აქვს დროებით გამოთავისუფლებული თანხები, ნაცვლად მიმდინარე ანგარიშზე შენახვისა შესაძლებელია მისი დაბანდება მოკლევადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში შემოსავლის მიღების მიზნით.

კომპანიები მოკლე და გრძელვადიანი საჭიროებათა დასაფინანსებლად, მიმოქცევაში უშვებენ სავალო ფასიან ქაღალდებსა და აქციებს ხოლო, როცა ფულადი სახსრების სიჭარბე აქვთ, ისინი გამოდიან კრედიტორის როლში. ზოგჯერ, მსხვილი კომპანია პრაქტიკულად ახორციელებს ნაღდი ფულის მართვის აქტიურ და რთულ სტრატეგიებს იგი არის მოკლევადიანი ფულადი ინსტრუმენტების მთავარი მომხმარებელი. თუმცა ძირითადად კომპანიები ფულადი სახსრების წმინდა მომხმარებლები არიან რაც გულისხმობს იმას რომ უფრო მეტს იყენებს ვიდრე გასცემს.

კერძო პირებს შეუძლიათ საინვესტიციო პროცესში სხვადასხვა ხერხით მონაწილეობა, მათ შეუძლიათ ფული მოათავსონ შემნახველ ანაბრებებზე, იყიდონ ობლიგაციები და აქციები ან შეიძინონ ქონება. ამასთან, კერძო პირებს ფულად სახსრებზე შეიძლება გაუჩნდეს მოთხოვნა მისი მიზნებიდან გამომდინარე. ვინაიდან, საფინანსო ბაზარზე სახელმწიფო და კომპანიები ფულადი სახსრების წმინდა მყიდველები არიან, კერძო ინვესტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პროცესში. ინვესტირება არის თავისუფალი რესურსების დაბანდება სხვადასხვა ობიექტებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევისათვის. ეს მიზნები შეიძლება იყოს:

- „ტექნიკის, მოწყობილობის თუ მიწის შეძენა;
- საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების შეძენა;
- ფასიანი ქაღალდების, აქციების, ობლიგაციების და ა.შ. შეძენა;
- განათლების დონის, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება;
- ლიცენზიის, განსაზღვრული სახის პროდუქციის გამოშვებაზე ან მომსახურების გაწევაზე პატენტის შეძენა;
- ფულადი სახსრების განთავსება საბანკო დეპოზიტებზე გარკვეული პროცენტით;
- ძირითადი საშუალებების აღდგენა და სხვა.“ (ქოქიაური, 2007:59)

თანამედროვე პირობებში ეროვნული მეურნეობის ნებისმიერი სფეროს, სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო საკონსტრუქციო ორგანიზაციების საქმიანობა დაკავშირებულია ამა თუ იმ კონკრეტული პროექტის შესრულებასთან.

პროექტის ცნების აღიარებული განმარტება არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სხვადასხვა მოსაზრებები რომლებსაც შეუძლია ჩაგვახედოს პროექტის არსში. პროექტი ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ შემდეგნაირად, რომ ის წარმოადგენს მიზნების და მათი განხორციელებისათვის შექმნილი ან მოდერნიზებული ფიზიკური ობიექტების, ტექნოლოგიური პროცესების და მათი ტექნიკური და ორგანიზაციული დოკუმენტაციის, მატერიალური, შრომითი, ფინანსური და სხვა რესურსების, აგრეთვე მმართველობით-მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებების და მათი შესრულების სისტემების ერთობლიობას.

საინვესტიციო პროექტი არის ღონისძიებათა და გაანგარიშებათა კომპლექსი, რომელიც ინვესტირების შედეგად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული მიზნების მიღწევას დადგენილ დროში. საინვესტიციო პროექტის ცნების გაგებისათვის გამოვიყენოთ ორი ასპექტი:

-ცნება „საინვესტიციო პროექტი“ არის საქმიანობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება პროექტისათვის დასმული ამოცანების მისაღწევად;

- ცნება „საინვესტიციო პროექტი“ არის ორგანიზაციულ სამართლებრივი და საანგარიშო-საფინანსო დოკუმენტების სიტემა, რომელიც შეიცავს პროექტის ეფექტიანობისა და რეალიზაციის შესაძლებლობის დასაბუთებას, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებისათვის.

საინვესტიციო პროექტის დამუშავების პროცესი შედგება, წინასაინვესტიციო, საინვესტიციო და საექსპლუატაციო ეტაპებისგან.

წინასაინვესტიციო ესაა შესაძლებლობათა გამოკვლევის ეტაპი, გამოიკვლევა წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და ამ დასაბუთების საექსპერტო შეფასება, გადაწყვეტილების მიღება და ბიზნეს-გეგმის დამუშავება;

საინვესტიციო მოიცავს სამუშაოებს: მოლაპარაკებებს საფინანსო სექტორთან დაფინანსების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, საინჟინრო და ტექნიკური პროექტირება, კადრების მომზადება, მარკეტინგული საკითხების მოგვარება, მოლაპარაკება შემსრულებელ ორგანიზაციასთან და კონტრაქტის გაფორმება, მშენებლობა;

საექსპლუატაციო ეტაპი მოიცავს ექსპლუატაციაში ჩაშვებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას, შემდეგი მოქმედებების წინადადებების მომზადებას, ინოვაციური საკითხების დაგეგმვას და ა.შ. ექსპლუატაციის შემდგომი ეტაპი განსაზღვრავს მის მომავალ ბედს.

საპროექტო სამუშაოების დაწყებიდან დამთავრებამდე პერიოდს ეწოდება პროექტის სასიცოცხლო ციკლი და ის ოთხი ფაზისგან შედგება, ესენია:

1. კონცეფციის შექმნა;
2. დამუშავება;

3. რეალიზაცია;
4. დამთავრება.

კონცეფციის შექმნა-დამუშავებისათვის უნდა გაკეთდეს: არსებული მდგომარეობის ანალიზი და გამოვლინდეს ხომარ საჭიროებს ცვლილებებს. უნდა დადგინდეს: მიზნები, ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები, შემზღუდავი კრიტერიუმები, უნდა მოხდეს რისკის დონის შეფასება, მონაწილეების შერჩევა, ალტერნატივების განხილვა, ბოლოს კონცეციის საბოლოო ვარიანტის შედგენა. კონცეფციის დამუშავებისას მიზნების შერჩევისთვის იყენებენ მარკეტინგის, ექსპერტული შეფასების, კონცეპტუალური პროექტების და სოციოლოგიურ მეთოდებს;

პროექტის დამუშავების ფაზის სამუშაოებია: პროექტის ხელმძღვანელის დანიშვნა, გუნდის ფორმირება, ძირითადი შინაარსის დამუშავება, სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რისკების დადგენა, მართვის და კონტროლის პროცედურების დადგენა. პროექტის დამუშავებისას იყენებენ სტრუქტურულ და სხვა სისტემურ მოდელებს, რისკისა და საიმედოობის გაანგარიშებას, ხარისხის მართვის მეთოდს და სხვა.

პროექტის რეალიზაციის ფაზის დროს სრულდება შემდეგი სამუშაოები: შესყიდვების ორგანიზაცია, კონტრაქტების გაფორმება, მართვის დამუშავებული სისტემის ამოქმედება, სამუშაოს ოპერატიული დაგეგმვა და შესრულების ორგანიზაცია, მონიტორინგი და კონტროლი და სხვა.

პროექტის დამთავრების ფაზის სამუშაოებია: საექსპლუატაციო გამოცდების ჩატარება და პროდუქციის მიღება, კადრების მომზადება, დოკუმენტების მომზადება ობიექტის ჩასაბარებლად დამკვეთისათვის, შედეგების შეფასება და სხვა.

პროექტის მონაწილეები არიან:

1. ინიციატორი;
2. დამკვეთი;
3. ინვესტორი;
4. პროექტის ხელმძღვანელი;
5. პროექტის გუნდი;
6. მიმწოდებლები;

7. მწარმოებელი;
8. მომხმარებლები.

საინვესტიციო პროექტების შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საინვესტიციო პროექტები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მრავალი საინვესტიციო წინაპირობითა და კრიტერიუმით, როგორებიცაა:

- მენეჯერული დამოკიდებულება კაპიტალური პროექტის მიმართ;
- საინვესტიციო პროექტის ვადები;
- კაპიტალდაბანდების რისკის დონეები;
- საინვესტიციო პროექტების კაპიტალ-ხარჯტევადობა(მასშტაბურობა);
- ფულადი ნაკადების შემოდინების პერიოდულობა;
- კაპიტალური აქტივების პოსტსაინვესტიციო განკარგვის თავისებურებანი;
- საინვესტიციო პროექტში რეინვესტირების შესაძლებლობანი და სხვა;

საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები წარმოადგენენ გრძელვადიანი ინვესტიციების და შესაბამისი საინვესტიციო პროექტების, შესწავლის ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ , თუ რამდენად მისაღებია ან მიუღებელია კონკრეტული საინვესტიციო პროექტი, მოცემული საინვესტიციო პირობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე შეფასების თითოეულ მეთოდს გააჩნია თავისი გადაწყვეტილების კრიტერიუმი - მიღებისა და უარყოფის კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც მიიღება გადაწყვეტილება იმის შესახებ, კომპანიის მენეჯმენტმა კონკრეტული საინვესტიციო პროექტი სამოვავლოდ განახორციელოს თუ არა. საინვესტიციო პროექტების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები რამდენიმე დაშვება, რომლებიც საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდებს გახდის უფრო მარტივს, კერძოდ ასეთ დაშვებებს მიეკუთვნება:

1. საწყისი ინვესტიცია მოიცავს არა მარტო კაპიტალურ ხარჯებს არამედ ასევე მის თანამდევ საბრუნავი კაპიტალის ხარჯებსაც;
2. შესაძლებელია საწყის ინვესტირებასთნ, ადგილი ჰქონდეს მომავალ წლებში დამატებითი ინვესტიციების გამოყენებას;
3. მოსალოდნელ ფულად ნაკადებს კომპანია ღებულობს ყოველი წლის ბოლოს;
4. ფულადი ნაკადი არის რელევანტური;

5. ფინანსური ხარჯები არის იგნორირებული (რადგან საპროცენტო ხარჯები შესულია დისკონტირების განაკვეთის გაანგარიშებაში);

6. დისკონტირების განაკვეთი უცვლელია საინვესტიციო პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში;

7. სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებს შეიძლება ჰქონდეთ რისკის განსხვავებული დონეები;

კომპანიის საინვესტიციო პროექტების შეფასების მოიცავს ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული და, ამავე დროს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მეთოდების ინსტრუმენტალურ ნაკრებს, რომლებსაც კომპანიები იყენებენ სხვადასხვა მიდგომით. კერძოდ, ზოგიერთი მეთოდი შედარებით იშვიათი გამოყენებისაა, ზოგიერთი კი გამოიყენებს ინტენსიურად; ზოგიერთი მეთოდი ხასიათდება სიმარტივით, ხოლო ზოგიერთი მეთოდი შედარებით რთულად აღსაქმელია; ზოგიერთი მათგანი ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას, ზოგიერთი კი არ ითვალისწინებს დისკონტირების ფაქტორს ნაკადების შეფასებისას და ა.შ. კომპანიამ საინვესტიციო ნაკადების შეფასება შეიძლება მოახდინოს, როგორც ცალკე აღებული კონკრეტულის მეთოდის, ასევე მათი კომპლექსური გამოყენებით. ამასთან, შეფასების თითოეულ მეთოდს გააჩნია თავისი გამოყენების უპირატესობები და ნაკლოვანებები, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული საინვესტიციო საქმიანობის მართვის პროცესში. უფრო კონკრეტულად საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდებს განეკუთვნება:

1.გამოსყიდვის პერიოდი (PayBack Period – PB);

2.დისკონტირებული გამოსყიდვის პერიოდი (Discounted PayBack Period – DPB);

3.უკუგების სააღრიცხვო განაკვეთი (Accounting Rate of Return – ARR);

4.წმინდა მიმდინარე ღირებულება (Net Present Value – NPV);

5.მომგებიანობის ინდექსი (Profitability Index – PI);

6.უკუგების შიდა განაკვეთი (Internal Rate of Return – IRR);

7.მოდულირებული უკუგების შიდა განაკვეთი (Modified Internal Rate of Return – MIRR);

**1.გამოსყიდვის პერიოდი (PayBack Period – PB)**

„ გამოსყიდვის პერიოდი (იგივე ამოღების, დაბრუნების, საწყისი უკუგების პერიოდი) წარმოადგენს დროის ინტერვალს (წლების რაოდენობას), რომლის განმავლობაში შემოსული წმინდა ფულადი ნაკადები ფარავს საწყის ინვესტიციას. სხვაგვარად იგი გვიჩვენებს, თუ საინვესტიციო პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში რა დრო სჭირდება პროექტში ინვესტირებული საწყისი კაპიტალური

ხარჯების ანაზღაურებას მომავალში გამომუშავებული ფულადი ნაკადებით. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, იგი ასახავს დროის დიაპაზონს, რომლის შემდეგაც დაიწყება მოგების პირველი ერთეულის გენერირება. შესაძლებელია კომპანიას გააჩნდეს ასევე „ტარგეტირებული გამოსყიდვის პერიოდი“, რაც წარმოადგენს დროის პერიოდს, რომლის „ქვემოთაც“ აღარ უღირს კომპანიის კონკრეტული საინვესტიციო პროექტის განხორციელება.“ (ქოქიაური, 2017:284)

თანაბარი ფულადი ნაკადების შემოდინების შემთხვევაში საინვესტიციო პროექტის გამოსყიდვის პერიოდი გამოითვლება საწყისი ინვესტიციოების თანხის შეფარდებით ყოველწლიურ წმინდა ფულად ნაკადებთან.

PB = საწყისი ინვესტიცია /ყოველწლიური წმინდა ფულადი ნაკადი არათანაბარი ფულადი ნაკადების შემოდინების შემთხვევაში, საინვესტიციო პროექტის გამოსყიდვის პერიოდის გაანგარიშება ემყარება კუმულაციური წმინდა ფულადი ნაკადების პრინციპს და გამოითვლება შემდეგნაირად:

$PB = \text{უარყოფითი კუმულაციური ნაკადი ბოლო წელი} + \text{ბოლო უარყოფითი/მომდევნო წლის ნაკადი.}$

## **2. დისკონტირებული გამოსყიდვის პერიოდი (Discounted PayBack Period – DPB)**

საინვესტიციო პროექტების შეფასებისას კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს ე.წ. დისკონტირებული გამოსყიდვის პერიოდი, რომელსაც წარმოადგენს გამოსყიდვის პერიოდის გაუმჯობესებულ ინდიკატორს, რომელიც გარკვეულწილად ავსებს გამოსყიდვის პერიოდის მთავარ ნაკლოვანებას. კერძოდ, მისგან განსხვავებით გამოიყენება არა სტანდარტული, არამედ დისკონტირებული ფულადი ნაკადები. შესაბამისად დისკონტირებული გამოსყიდვის პერიოდი წარმოადგენს დროის პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანიის მიერ განხორციელებული საწყისი

ინვესტიციები იფარება სამომავლოდ მისაღები დისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

დისკონტირებული გამოსყიდვის პერიოდის გამოსათვლელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოსყიდვის პერიოდის ზემოთ მოტანილი მეორე ფორმულის მოდიფიცირებული ვარიანტი, კერძოდ:

$$DPB = A + B/C$$

სადაც, A არის უარყოფითი კუმულაციური ნაკადების ბოლო წელი

B-ბოლო უარყოფითი დისკონტირებული კუმულაციური ნაკადი;

C-მომდევნო წლის დისკონტირებულ ფულადი ნაკადი.

### **3. უკუგების სააღრიცხვო განაკვეთი (Accounting Rate of Return – ARR)**

უკუგების სააღრიცხვო განაკვეთი გვიჩვენებს, თუ რა სიდიდის სააღრიცხვო მოგების ნაკადებს გამოიმუშავებს საინვესტიციო პროექტში ინვესტირებული თანხები პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. იგი მიეკუთვნება საინვესტიციო პროექტების შეფასების მარტივი მეთოდების ჯგუფს, რომელიც არ იყენებს დისკონტირების პრინციპებს. ამასთან, იგი განსხვავდება ყველა სხვა მეთოდისგან იმით, რომ იგი გაანგარიშებაში ეყრდნობა არა ფულად ნაკადებს, არამედ მოგების მაჩვენებელს.

უკუგების სააღრიცხვო განაკვეთის უპირატესობებს წარმოადგენს:

- გამოსათვლელად სიმარტივე;
- მიღებული პროცენტული შედეგი ადვილად გასაგებია;
- გამოთვლაში მონაწილეობს პროექტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლი;
- დაკავშირებულია მარტივ სააღრიცხვო მაჩვენებლებთან.

ნაკლოვანებებს წარმოადგენს:

- არ ითვალისწინებს დისკონტირებას;
- ეყრდნობა სააღრიცხვო მოგებას და არა ფულად ნაკადებს;
- ცვალებადია სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად;
- სრულყოფილად ვერ ზომავს აბსოლიტურ საინვესტიციო ეფექტს;
- არ წარმოადგენს ინვესტიციების შეფასების ობიექტურ ინდიკატორს.

უკუგების სააღრიცხვო განაკვეთის გამოთვლას საფუძვლად უდევს საინვესტიციო პროექტში დაბანდებული თანხებისა და სასიცოცხლო ციკლის

განმავლობაში გენერირებული მოგების სიდიდეები. ამდენად, იგი წარმოადგენს ფარდობით მაჩვენებელს, რომელიც ზომავს საინვესტიციო პროექტში კაპიტალური ხარჯების ავანსირებით მიღებულ ეკონომიკურ ეფექტს. მისი გაანგარიშება შესაძლებელია სამგვარად იმაზე დამოკიდებულების მიხედვით, გამოთვლაში ვიყენებთ მთლიან საინვესტიციო ხარჯებს თუ საშუალო ინვესტირებულ კაპიტალს, ასევე ვიყენებთ საინვესტიციო პერიოდების მთლიან მოგებას თუ საშუალო პერიოდულ მოგებას. მათგან ყველაზე უფრო პრაქტიკულად ითვლება გამოყენებულ კაპიტალზე უკუგების მეორე და მესამე მაჩვენებლები.

I.  $ARR / ROCE = \text{მთლიანი მოგება} / \text{საწყისი ინვესტიცია} \times 100\%$ ;

II.  $ARR / ROCE = \text{საშუალო წლიური მოგება} / \text{საწყისი ინვესტიცია} \times 100\%$ ;

III.  $ARR / ROCE = \text{საშუალო წლიური მოგება} / \text{საშუალო ინვესტირებული კაპიტალი} \times 100\%$  .

#### **4.წმინდა მიმდინარე ღირებულება (Net Present Value – NPV)**

წმინდა მიმდინარე ღირებულება საინვესტიციო პროექტების შეფასების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი, ეფექტური და გამოყენებადი მეთოდია, რომლის მეშვეობითაც ფასდება, ძირითადად, კონვენციური საინვესტიციო პროექტები. წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლისთვის საჭიროა მოვახდინოთ კომპანიის საინვესტიციო ფულადი ნაკადების დისკონტირება, რადგან გამავალი და შემომავალი ფულადი ნაკადები ხასიათდებიან გენერაციის სხვადასხვა დროით. კერძოდ, კონვენციურ საინვესტიციო პროექტებში საწყის საინვესტიციო კაპიტალურ ხარჯებს, ანუ გამავალ ფულად ნაკადებს მოსდევს რამდენიმე შემომავალი თანმიმდევრული ფულადი ნაკადი, საინვესტიციო პროექტის ციკლის წლების მიხედვით. წმინდა მიმდინარე ღირებულება შეიძლება გამოვთვალოდ ორგვარად:

1.  $NPV_1 = \text{შემომავალი წმინდა ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება} - \text{გამავალი წმინდა ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება}$ ;

2.  $NPV_2 = -I + CF_1 / (1+r)^1 + CF_2 / (1+r)^2 + \dots + CF_n / (1+r)^n$

სადაც, NPV არის წმინდა მიმდინარე ღირებულება;

I - არის საწყისი საინვესტიციო ფულადი ნაკადები ;

CF (Cash Flow) – შემომავალი წმინდა ფულადი ნაკადები n წელში;

r – დისკონტირების განაკვეთი;

n - პროექტის სასიცოცხლო ციკლი (წლები).

წმინდა მიმდინარე ღირებულებას, როგორც საინვესტიციო პროექტების შეფასების ყველა სხვა მეთოდს, გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებით მხარეებს მიეკუთვნება:

- ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას;
- არის მკაფიო ინდიკატორი, როგორც მკაფიო მაჩვენებელი;
- იყენებს ფულად ნაკადებს და არა სააღრიცხვო მაჩვენებლებს;
- მოიცავს პროექტის მთლიან სასიცოცხლო ციკლს;
- ახდენს რისკის კორექტირებას.

უარყოფით მხარეებს მიეკუთვნება:

- შედარებით შრომატევადია;
- მოითხოვს დისკონტირების განაკვეთის სწორად შერჩევას;
- არ ასახავს პროექტის ფარდობით ეფექტიანობას;
- ორი პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების ტოლობისას არ იძლევა

შეფასების საფუძველს;

- საჭიროებს კომპანიის მენეჯმენტისთვის კარგად ახსნას.

### **5. მომგებიანობის ინდექსი (Profitability Index – PI)**

მომგებიანობის ინდექსი საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული წმინდა მიმდინარე ღირებულების მაჩვენებელთან. იგი ასახავს საინვესტიციო პროექტების მომგებიანობის დონეს ფულადი ნაკადების დისკონტირების გათვალისწინებით, კერძოდ მომგებიანობის ინდექსი გამოითვლება, როგორც საინვესტიციო პროექტის შემომავალი წმინდა ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება შეფარდებული გამავალი წმინდა ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან. სხვაგვარად იგი გვიჩვენებს საინვესტიციო პროექტში დაბანდებული ერთეულოვანი ხარჯით გამომუშავებულ დისკონტირებულ ფულად ნაკადებს, ამიტომ მომგებიანობის ინდექსს სხვაგვარად ასევე დანახარჯი-სარგებელის დისკონტირებული კოეფიციენტი ეწოდება. მომგებიანობის ინდექსი შეიძლება ორგვარად გამოითვალოს:

- I.  $PI = \frac{\text{შემომავალი წმინდა ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება}}{\text{გამავალი წმინდა ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება}}$ ;

$$II. PI = (CF_1 / (1 + r)^1 + CF_2 / (1 + r)^2 + \dots + CF_n / (1 + r)^n) / I$$

სადაც, PI არის მომგებიანობის ინდექსი;

I - საწყისი საინვესტიციო ფულადი ნაკადები;

CF (Cash Flow) – შემომავალი წმინდა ფულადი ნაკადები n წელში;

r – დისკონტირების განაკვეთი;

n – პროექტის სასიცოცხლო ციკლი.

როგორც მოცემული ფორმულებიდან ნათლად ჩანს, მომგებიანობის ინდექსი გამომდინარეობს წმინდა მიმდინარე ღირებულების შინაარსობრივი დატვირთვიდან, რადგან ორივე მაჩვენებელი ახასიათებს საინვესტიციო პროექტის მისაღებობის კრიტერიუმს სხვადასხვა პოზიციიდან, კერძოდ წმინდა მიმდინარე ღირებულება აბსოლუტური სიდიდით, ხოლო მომგებიანობის ინდექსი ფარდობითი სიდიდით. შესაბამისად, პროექტის შეფასების შედეგობრივი მაჩვენებელი იქნება იდენტური, რაც შეიძლება აისახოს შემდეგი ურთიერთდამოკიდებულებით:

$NPV > 0$  ე.ი.  $PI > 1$  - პროექტი მისაღებია

$NPV < 0$  ე.ი.  $PI < 1$  - პროექტი უარსაყოფია

ამდენად, თუ საინვესტიციო პროექტის მომგებიანობის ინდექსი 1-ზე მეტი სიდიდეა, სხვა თანაბარ პირობებში, პროექტი უპირობოდ მისაღებია კომპანიის მიერ, რაც ნიშნავს იმას, რომ პროექტი გამოიმუშავებს იმაზე მეტ წმინდა ფულად ნაკადებს დღევანდელი ღირებულებით, ვიდრე მასში ინვესტირებული თანხების ხარჯვას ხმარდება, რაც თავის მხრივ წმინდა მიმდინარე ღირებულების დადებით სიდიდესთან ასოცირდება და პირიქით, თუ საინვესტიციო პროექტის მომგებიანობის ინდექსი 1-ზე ნაკლებია, მაშინ წმინდა მიმდინარე ღირებულება იქნება თავისთავად უარყოფითი სიდიდე და ასეთი პროექტი უნდა იქნეს იგნორირებული.

მომგებიანობის ინდექსს, როგორც საინვესტიციო პროექტების შეფასების ყველა სხვა მეთოდს, გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებ.

დადებით მხარეებს მიეკუთვნება:

- ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას;
- ასახავს დანახარჯი-სარგებელი ეფექტს;

- შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც წმინდა მიმდინარე ღირებულების დამატებითი ინსტრუმენტი;

- საუკეთესო ინდიკატორია პროექტების კომბინირებული შეფასების დროს.

უარყოფით მხარეებს მიეკუთვნება:

- ვერ ასახავს ფულადი ნაკადების გენერირებას აბსოლიტურად;
- არ გამოიყენება, როგორც პროექტის შეფასების ძირითადი მაჩვენებელი;
- არ გვიჩვენებს კომპანიის საბაზრო ღირებულების ზრდის ტენდენციას.

## 6. უკუგების შიდა განაკვეთი (Internal Rate of Return – IRR)

უკუგების შიდა განაკვეთი, თავისი შინაარსით, ახლოს დგას წმინდა მიმდინარე ღირებულებასთან და წარმოადგენს ასევე საინვესტიციო პროექტების შეფასების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და გამოყენებად მეთოდს. თუკი წმინდა მიმდინარე ღირებულება ასახავს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოძრაობას, უკუგების შიდა განაკვეთი გვიჩვენებს დისკონტირების საპროცენტო განაკვეთის იმ მნიშვნელობას, რომლის დროსაც კომპანიის წმინდა მიმდინარე ღირებულება 0-ის ტოლია.

როგორც, ვიცით წმინდა მიმდინარე ღირებულება ნულოვანი მნიშვნელობისაა, როდესაც შემომავალი წმინდა ფულადი ნაკადები უტოლდება გამავალ წმინდა ფულად ნაკადებს. შესაბამისად, თუ წმინდა მიმდინარე ღირებულებას გავუტოლებთ 0-ს, შეიძლება ფორმულის მეშვეობით განისაზღვროს უკუგების შიდა განაკვეთი.

$$NPV = -I + CF_1 / (1+r)^1 + CF_2 / (1+r)^2 + \dots + CF_n / (1+r)^n = 0$$

უკუგების შიდა განაკვეთი გვიჩვენებს დისკონტირების იმ საპროცენტო განაკვეთს, რომლის დროსაც საინვესტიციო პროექტი არც ზარალიანია და არც მომგებიანი. წმინდა მიმდინარე ღირებულებით და უკუგების შიდა განაკვეთით პროექტის შეფასების შედეგობრივი მაჩვენებლები აისახება შემდეგი ურთიერთდამოკიდებულებით;

$$NPV > 0 \text{ ე.ი. } IRR > r - \text{პროექტი მისაღებია}$$

$$NPV < 0 \text{ ე.ი. } IRR < r - \text{პროექტი უარსაყოფია}$$

უკუგების შიდა განაკვეთს, როგორც საინვესტიციო პროექტების შეფასების ყველა სხვა მეთოდს, გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებით მხარეებს მიეკუთვნება:

- ითვალისწინებს ფულის დროით ღირებუ-ლებას;
- ეყრდნობა ფულად ნაკადებს;
- მარტივია ინტერპრეტირებისათვის;
- მოიცავს მთლიან საინვესტიციო ციკლს.

უარყოფით მხარეებს განეკუთვნება:

- არის რთულად გამოსათვლელი;
- ვერ ასახავს კაპიტალის ღირებულების აბსოლიტურ ნამატს;
- არაკონვენციური პროექტების დროს შეიძლება წარმოიშვას რამდენიმე უკუგების შიდა განაკვეთი;
- იგნორირებას უკეთებს პროექტების მასშტაბებში არსებულ განსხვავებას.

### **7. მოდიფიცირებული უკუგების შიდა განაკვეთი (Modified Internal Rate of Return – MIRR)**

უკუგების შიდა განაკვეთის ერთ-ერთ ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ არაკონვენციური საინვესტიციო პროექტების განხორციელების დროს ადგილი აქვს გასული ფულადი ნაკადების წარმოქმნას არა მხოლოდ საწყისი ინვესტიციის სახით, არამედ შეიძლება ინვესტირების პროცესში წარმოიქმნას გარკვეული დამატებითი კაპიტალური ხარჯების გაწევის აუცილებლობა, რაც ართულებს უკუგების საადრიცხვო განაკვეთის გამოთვლას, რის შედეგადაც შეიძლება წარმოიქმნას რამდენიმე უკუგების შიდა განაკვეთი. აღნიშნული ნაკლოვანების დმოსაფხვრელად გამოიყენება ე.წ. მოდიფიცირებული უკუგების შიდა განაკვეთი, რომელიც ცალ-ცალკე ახდენს გასული და შემოსული ფულადი ნაკადების „დახარისხებას“ და გასული ნაკადების მიმართ იყენებს დისკონტირების, ხოლო შემოსული ნაკადების მიმართ იყენებს კომპაუნდირების პრინციპს. უფრო კონკრეტულად, მოდიფიცირებული უკუგების შიდა განაკვეთის გამოთვლა წარმოადგენს გარკვეულ ეტაპებად განხორციელებული ოპერაციების ერთიანობას, წმინდა ფულადი ნაკადების გარდაქმნების შემდეგი საფეხურების გათვალისწინებით:

I. პირველ ეტაპზე ვახდენთ გამავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას, ანუ მათი მიმდინარე ღირებულების გამოთვლას. გავითვალისწინოთ, რომ უარყოფითი ნიშნით არსებული გამავალი ფულადი ნაკადები არაკონვენციურ საინვესტიციო პროექტებში საწყის ინვესტიცია და შემდგომ რომელიმე წელს

(წლებში) განხორციელებულ დამატებით საინვესტიციო ხარჯებს. ცხადია საწყის ინვესტიციას არ დასჭირდება დისკონტირება, ხოლო სხვა უარყოფითი ნიშნის მქონე ფულადი ნაკადები დაექვემდებარება შესაბამისი განაკვეთით დისკონტირებას.

II. მეორე ეტაპზე გამოვთვალოთ ყველა შემომავალი წმინდა ფულადი ნაკადების მომავალი ღირებულება, ანუ მოვახდინოთ დადებითნიშნის ნაკადების კომპაუნდირება. აქაც, ანალოგიურად, გასათვალისწინებელია ის რომ, სასიცოცხლო ციკლის ბოლო წელს გასულ ფულად ნაკადს არ დასჭირდება კომპაუნდირება, რადგან ყველა ნაკადის მომავალი ღირებულება ხდება სწორედ ბოლო წელთან მიმართებით. ყველა შემომავალი ფულადი ნაკადის მომავალ ღირებულებას უწოდებენ ე.წ. ტერმინალურ ღირებულებას. ე.ი. ვახდენთ დადებითნიშნის ფულადი ნაკადების ტერმინალური ღირებულების გამოთვლას.

III. მესამე ეტაპზე დისკონტირებული გასული წმინდა ფულადი ნაკადები შევაფარდოთ კომპაუნდირებულ შემოსულ წმინდა ფულად ნაკადებთან, რითიც მივიღებთ კონკრეტულ რაოდენობრივ მაჩვენებელს, რითაც შეგვიძლია მარტივად ვიპოვოდ მოდიფიცირებული უკუგების შიდა განაკვეთი. კერძოდ, მიმდინარე ღირებულების ფინანსურ ცხრილში მოვძებნით ამ რიცხვის შესაბამის დისკონტირების განაკვეთს ცხრილის იმ სტრიქონზე გაყოლებაზე, რამდენ წელსაც შეადგენს მოცემული საინვესტიციო პროექტის სასიცოცხლო ციკლი და გადაკვეთის შესაბამისი განაკვეთი იქნება სწორედ უკუგების შიდა განაკვეთი.

## **1.2 პროექტის შერჩევა, შესრულება, მონიტორინგი და პროექტის შესრულების შემდგომი შეფასება**

საინვესტიციო პროექტების განხილვა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ჯერ უნდა მოხდეს პროექტის შერჩევა, ბიუჯეტირება და მიზნობრივობის განსაზღვრა, შემდეგ ხდება პროექტის განხორციელება და მონიტორინგი ბოლოს კი ვახდენთ შედეგების შეფასებას. საინვესტიციო პროექტი რომ ეფექტიანად განხორციელდეს ყველა ეს ეტაპი თანმიმდევრულად და დეტალურად უნდა განვიხილოთ.

### **1. პროექტის შერჩევისა და ბიუჯეტირების არსი და მიზანი**

პროექტების შერჩევისა და ბიუჯეტირების ეტაპის მიზანია იმ პროექტების შერჩევა, რომლებიც დაფინანსდება კონკრეტული საშუალოვადიანი პერიოდის

შესაბამისი ბიუჯეტიდან. (საქართველოს...,2016: მუხლი 11)

სახელმწიფო ბიუჯეტისათვის იმ პროექტების ჩამონათვალი, რომლებიც აკმაყოფილებენ დაფინანსების მოთხოვნებს, შეიძლება პერიოდულად განახლდეს წლის განმავლობაში შეფასების და განხილვის პროცესის შესაბამისად, მაგრამ საბოლოო ვერსია მზადდება ყოველი წლის 1 მარტამდე. მხოლოდ ის პროექტები, რომლებიც შეტანილია დაზუსტებულ სიაში, აკმაყოფილებს მოთხოვნებს მოსამზადებელ ეტაპზე ბიუჯეტში გათვალისწინების განსახილველად. ამ თარიღის შემდეგ სიაში შეტანილი პროექტები უნდა შეყოვნდეს მომდევნო წლის საბიუჯეტო პროცესში განსახილველად.

პროექტის შერჩევის სტადიაზე ხორციელდება იმ ახალი პროექტების იდენტიფიკაცია, რომელთა დაფინანსება უნდა აისახოს შესაბამისი წლის ბიუჯეტში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების, საშუალოვადიან პერიოდში ხელმისაწვდომი ფისკალური რესურსის და პროექტის განხორციელებისათვის მზადყოფნის გათვალისწინებით.

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დაფინანსების უწყვეტობა მიმდინარე პროექტების განსახორციელებლად და შესაძლოა დაისვას იმ პროექტების ხელახალი შეფასების საკითხი, რომელთა ეფექტიანობა ნაკლებია.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში საბოლოო ვარიანტში ასევე აისახება ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტები (იგულისხმება პროექტები, რომელიც დაფინანსდება, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მეშვეობით).

პროექტის შერჩევისა და ბიუჯეტირების პროცესში გადანაწილებული როლები, პასუხისმგებლობები და გადაწყვეტილების მიღება- შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებები ამზადებენ საინვესტიციო პროექტების განაცხადს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებულ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში და ასახავდეს:

- ა) კავშირს პროექტსა და შესაბამის პროგრამას/ქვეპროგრამას შორის;
- ბ) მიმდინარე პროექტისათვის საჭირო ფინანსურ რესურსს მრავალწლიან

პერიოდში;

გ) ახალი პროექტების დაფინანსების საჭიროებას;

დ) პროექტის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას;

წინადადებები, ახალი ფინანსურად მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტებისთვის უნდა იყოს წარდგენილი, როგორც სამოქმედო გეგმის კომპონენტები, ნათლად მიაჩვენებდეს, თუ რომელი პროგრამის დაქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი, როგორ შეუწყობს ხელს პროექტი განსაზღვრული ქვეპროგრამის შესრულების გაუმჯობესებას და რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი, რომ მიღწეულ იქნეს მიზანი.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად საქართველოს მთავრობის მიერ ხორციელდება იმ საინვესტიციო პროექტების ნუსხის მოწონება, რომელთა განხორციელებაც მოხდება საშუალოვადიან პერიოდში, შედეგად საქართველოს მთავრობა იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ახალი პროექტის დაფინანსების თაობაზე.

საბიუჯეტო განაცხადის მომზადების და წარდგენის დროს მხარჯავი დაწესებულების მიერ ხდება იმ საინვესტიციო პროექტების ასახვა, რომელთა განხორციელებაზეც დადებითი გადაწყვეტილებაა მიღებული.

მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების მომზადებისას საინვესტიციო პროექტების ბიუჯეტში ასახვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **2. პროექტის განხორციელება და მონიტორინგი**

საინვესტიციო საქმიანობის საბოლოო და ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია მონიტორინგი. მონიტორინგის პროცესი მოიცავს ფაქტიური შედეგების შეფასებას, მათ შედარების დაგეგმილ მაჩვენებლებთან, საქმიანობის გადასინჯვას და საჭირო შესწორებების შეტანას, აგრეთვე კორექტირების დროის შერჩევას მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. (ფუტკარაძე, 2013:89)

საინვესტიციო დაბანდებებს პერიოდულად წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ვამოწმებდეთ. ამ დროს ითვალისწინებენ მათ მოსალოდნელ შემოსავლიანობას, რაც ამ ინვესტიციების რისკთან და გარკვეულ საგადასახადო მახასიათებლებთანაა დაკავშირებული და შემოსავლიანობაზე მოქმედებს.

ფაქტიური შედეგები ყოველთვის არ ემთხვევა მოსალოდნელს, რის გამოც უნდა შევაფასოთ მიღწეული შედეგები და შევუდაროთ დაგეგმილს. ამისათვის აუცილებელია ინფორმაციის შეგროვება და საინვესტიციო შედეგების ანალიზი. რეალური შედეგების ამსახველი ინფორმაციის შეგფოვრება პირველი ნაბიჯია ანალიზის პროცესში ინვესტიციების შედეგიანობის მონიტორინგის პროცესში.

საინვესტიციო პროექტები განხორციელდება საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დონორების დაფინანსებული პროექტების ან საერთაშორისო ტენდერის შემთხვევაში პროექტი განხორციელდეს დონორებთან შეთანხმებული პროცედურებით.

**პროექტის მონიტორინგი და ამ პროცესში გადანაწილებული როლები და პასუხისმგებლობები:**

საინვესტიციო პროექტების სტატუსის შესახებ უნდა განხორციელდეს პერიოდული (კვარტალური და წლიური) ანგარიშგება პროექტზე პასუხისმგებელ შესაბამის ორგანოსთან აღნიშნული შესრულების ანგარიშების მიხედვით. (საქართველოს...,2016: მუხლი 13)

პროექტების შესრულების ანგარიშები უნდა მოიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) პროექტის დასახელება;
- ბ) პროექტის დაწყების თარიღი;
- გ) პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღი;
- დ) შესრულებული სამუშაოების პროცენტული მაჩვენებელი;
- ე) დაფინანსების წყარო;
- ვ) დაგეგმილი ბიუჯეტი და გაწეული ხარჯი;

განმარტებები პროექტის გადავადების, დაგეგმილზე მეტი ან ნაკლები ხარჯის გაწევის, დაფინანსების დამშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების და აღნიშნულის გათვალისწინებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესახებ ანგარიშგება წარმოებს საბიუჯეტო კოდექსით ბიუჯეტის შესრულების

ანგარიშგებისათვის განსაზღვრულ ვადებში და შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებთან ერთად წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების შეთმხვევაში კვარტალური და წლიური ანგარიშგება წარმოებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების მიერ მათი ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პრიორიტეტების დოკუმენტების წარდგენისას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, უფლებამოსილია ეკონომიკური საბჭოს წარუდგინოს ინფორმაცია საინვესტიციო პროექტების მიმდინარეობის შესახებ. პროექტების შესრულების შესახებ წლიური ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეკონომიკურ საბჭოს წარედგინება ყოველის წლის 1 მარტამდე.

ეკონომიკურმა საბჭომ შესაძლებელია იმსჯელოს და მოამზადოს რეკომენდაცია პროექტის შეჩერების, მოდიფიცირების ან შეწყვეტის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ განხორციელების ეტაპზე წარმოიქმნა ისეთი გამოწვევები (შესაძლებელია უშუალოდ პროექტისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით), რომელიც არსებითად ცვლის საინვესტიციო პროექტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების პროგნოზებს, განხორციელების ვადებს ან/და მისაღები შედეგის ეფექტს პროექტით განხორციელების შედეგად მოსარგებლებზე.

### **3. პროექტის შესრულების შემდგომი შეფასება:**

პროექტის შესრულების შემდგომი შეფასება - ფასდება პროექტის მიზნების მიღწევა გამოყენებული რესურსების და გარემოზე გავლენის კუთხით.

პროექტის შესრულების შემდგომი შეფასების მიზნებია:

ა) გამჭვირვალობის ზრდა იმის ჩვენებით, თუ რამდენად ეფექტიანად მოხდა ინვესტირება და სახელმწიფო ფინანსების გამოყენება ფინანსურ, ეკონომიკურ, გარემოს და სოციალურ მიზნებთან მიმართებაში;

ბ) ეფექტიანობის გაზომვა - ფაქტობრივი შედეგების შედარება ხდება

პროგნოზებთან ან მიღწევების შედარება ხდება დასახულ მიზნებთან იმისათვის, რომ გაიზომოს პროექტის სარგებელი;

გ) წინასწარი შეფასების გასაუმჯობესებლად გარკვეული ელემენტების შემოღება მომავალში ჩარევისთვის - პროექტის შესრულების შემდგომი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია წინასწარი შეფასების ეტაპზე არსებული ინფორმაციის ანალიზი, იმისათვის, რომ გაირკვეს წინასწარი პროგნოზების დამტკიცებამდე იყო თუ არა პროექტის განხორციელება ადეკვატური ინვესტიციების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული საშუალებას იძლევა, რომ განისაზღვროს სად არის საჭირო მეტი ძალისხმევა პროექტის შეფასების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

დ) მსგავს განხორციელებულ პროექტებზე შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება შესაბამისი პროგნოზების განსაზღვრისთვის და წინასწარი შეფასების უფრო ზუსტი ანალიზის წახალისების უზრუნველყოფა პროექტის რეალური მიღწევების გასაჯაროების გზით.

პროექტის შემდგომი შეფასების არსი არ არის პროექტის დაგეგმილთან შედარებით გადახრების აღმოჩენა. მთავარია გადახრების ძირითადი მიზეზების და პროექტის შემდგომი შეფასების რეალური მიზნების გათვალისწინება. პროექტის შემდგომი შეფასების ეტაპზე იდენტიფიცირებული გადახრები შესაძლებელია მიუთითებდეს იმას, რომ პროექტის სასიცოცხლო ციკლის საწყის ეტაპებზე არ გამახვილდა სათანადო ყურადღება სავარაუდო გაუთვალისწინებელ გავლენებზე (იგულისხმება გარე და ნაწილობრივ შიდა გაუთვალისწინებელი ფაქტორების გავლენა). შესაძლებელია გადახრები გამოწვეული იყოს პროექტის დიზაინთან, არასწორ ინფორმაციასთან, არაეფექტური გადაწყვეტილების მიღებასთან და სხვა ზოგად საკითხებთან.

#### **შესრულების შემდგომი შეფასების საფეხურები:**

პროექტის შემდგომი შეფასების სწორად წარმართვა მოიცავს რვა საფეხურს. ამასთან, თითოეული საფეხურისთვის მრავალმხრივი გამოწვევები არსებობს. ეს საფეხურებია:

ა) დაგეგმვის პროცესის შეფასება - მნიშვნელოვანია რომ მოხდეს პროექტების წინასწარი შეფასების და დაგეგმვის პროცესის შეფასება. რთულია

იმის განსაზღვრა კონკრეტულად რომელი ანალიზი ეხმარება გადაწყვეტილების მიღებას პროექტის წინასწარი შეფასების დროს. როდესაც პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი ან არასრულია, ასევე, წინასწარი შეფასების შედეგებთან და ზოგადად დაგეგმვის დოკუმენტებთან მიმართებაში ოფიციალური დოკუმენტაციის ნაკლებობის შემთხვევაში, რთულდება პროექტის შემდგომი შეფასების გამჭვირვალე ანალიზი.

ბ) პროექტის საბოლოო შედეგის გაზომვა - პროექტის შემდგომი შეფასების მიზნით, პროექტის შესრულების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამიტომ მნიშვნელოვანია ძირითად ინდიკატორებზე გამახვილდეს ყურადღება და გამოყენებულ იქნეს სტანდარტული მიდგომები. რიგ შემთხვევაში ზოგიერთი პროექტის მნიშვნელოვანი გავლენა შესაძლებელია არ იყოს გათვალისწინებული ამოცანებში და საჭიროა მოხდეს ასეთი საკითხების გათვალისწინება პროექტის შემდგომი შეფასების დროს, თუ არის შესაძლებელი. პროექტის წინასწარ და საბოლოო შეფასებას შორის განსხვავებებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად ეფექტური საშუალებაა შესაბამის ექსპერტებთან ინტერვიუ.

გ) პროექტის მოსალოდნელ შედეგსა და მიღებულ შედეგს შორის განსხვავებები - მოსალოდნელ შედეგსა და მიღებულ შედეგს შორის განსხვავების არსებობა და მით უფრო ამ განსხვავებებთან დაკავშირებით მიზეზების გარკვევა ხშირ შემთხვევაში არარეალურია, იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი შედეგი უმეტეს შემთხვევაში ვერ იქნება მიღებული შედეგის იდენტური. იმ შემთხვევაშიც კი როცა განსხვავება ცოტაა არ ნიშნავს, რომ ამის მიზეზი კარგად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტია, არამედ შესაძლებელია პროექტის საბოლოო შედეგს განაპირობებდეს გარე გაუთვალისწინებელი რაიმე ფაქტორი.

დ) ალტერნატივების ანალიზი - ანალიზი ეყრდნობა პროექტის შემდგომ შეფასებას, შედეგის დადგომით გამოწვეული მდგომარეობის ანალიზს შედეგის დადგომამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში. წინასწარ შეფასებასა და შემდგომ შეფასებას შორის განსხვავების შესწავლა მნიშვნელოვანია პროექტის სრულყოფილი ანალიზისთვის. შესაძლებელია, რომ ანალიზში არ იყოს წარმოდგენილი ზოგიერთი პროექტი, რომელიც განხორციელდა და პირიქით იყოს განხილული პროექტი, რაც არ განხორციელდა და მოხდეს მისი ანალიზი და

შედეგების განხილვა.

ე) შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრა - მნიშვნელოვანია, მოხდეს შესწავლა რა გავლენა მოახდინა შიდა და გარე ფაქტორებმა წინასწარ და შემდგომ შეფასებებს შორის განსხვავებებზე. ხორციელდება შიდა და გარე ფაქტორებით გამოწვეული ეფექტის ანალიზი, რომელიც შესაძლებელია არ დამდგარიყო, რომ არ განხორციელებულიყო პროექტი ან ეფექტი, რომელიც დადგებოდა პროექტის განხორციელებლობის შედეგად. ამ პროცესში პროექტის შესაფასებლად შესაძლებელია ჩართულ მხარეებთან ინტერვიუების საშუალებით მოხდეს ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების უფრო დეტალურად გარკვევა.

ვ) ხარჯების შეფასება - პროექტების შემდგომი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხურია. ხორციელდება ხარჯების შედგენის მეთოდებისა და მოსალოდნელ და ფაქტობრივ ხარჯს შორის არსებული განსხვავებების მიზეზების შესწავლა. გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: განხორციელების დაგვიანებული ვადები, პროექტის სპეციფიკაციებისა და დიზაინის, ვალუტის კურსის, რაოდენობისა და ფასების, უსაფრთხოების მოთხოვნების, ასევე გარემო ფაქტორების მოთხოვნების ცვლილება, გეოლოგიური და ტექნოლოგიური რისკები.

ზ) პროექტის შეფასება - პროექტის წინასწარი შეფასების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მოსალოდნელ შედეგსა და დაკვირვების შედეგს შორის განსხვავებების ანალიზი, რაც მოიცავს პროექტის განვითარებისა და განხორციელების ანალიზს, სადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს განხორციელების პროცესის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. ამ პროცესში შესაძლებელია გამოიკვეთოს, რომ შედარებით „უკეთესი“ ამოცანები არ განხორციელდა. ასევე, გარემოზე ზემოქმედებასთან მიმართებაში ხორციელდება პროექტის შეფასება, თუ ითამაშა პროექტმა პროაქტიული როლი პროექტის დანერგვის პროცესში დაფინანსების გათვალისწინებით, რაც შესაძლებელია შესწავლილ იქნეს ჩართული მხარეების, ასევე საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად.

თ) ინვესტიციების ეფექტიანობის გაზომვა - პროექტის გავლენა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებთან მიმართებაში. ამ საფეხურზე

ფაქტობრივი შედეგების და ხარჯების გათვალისწინებით ხელახლა ხდება ფაქტობრივი შესრულების ეკონომიკური ინდიკატორების გამოთვლა (NPV და IRR), რომ მოხდეს მოსალოდნელ შედეგებთან შედარება.

### 1.3 საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასება

ეფექტიანობას, ზოგადად უწოდებენ უმცირესი დანახარჯებით საუკეთესო შედეგის მიღწევას. მეთოდური რეკომენდაციებით ინვესტიციების ეფექტიანობა განიხილება, როგორც კატეგორია, რომელიც ასახავს ინვესტიციების შესაბამისობას, მის მონაწილე მიზნებთან და ინტერესებთან. ინვესტიციების განხორციელების ეფექტიანობა სხვადასხვა ინვესტორებისათვის შეიძლება იყოს განსხვავებული.

ინვესტორის საკუთარი კაპიტალის ინვესტირების ეფექტიანობა განისაზღვრება დაბანდებული საკუთარი კაპიტალისა და იმ კაპიტალის თანაფარდობით, რომელიც მიღებულია და რჩება კაპიტალის მფლობელის განკარგულებაში.

ინვესტიციების რეალიზაცია და ეფექტიანობა უნდა შემოწმდეს პროგრამული ფასების მეშვეობით, გათვალისწინებული უნდა იქნას ინფლაციის მაჩვენებელი და ვალუტა, რომელშიც ხორციელდება ინვესტიციები.

„ეფექტიანობის სხვადასხვა მაჩვენებლებს შორის ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეფექტის მაჩვენებლები. ეფექტი-კატეგორიაა, რომელიც ახასიათებს დროის განსაზღვრულ პერიოდში ინვესტიციები შედეგების გადამეტებას დანახარჯებზე.“

(ფალელაშვილი, 2010:67)

საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობას აფასებენ მაჩვენებლების შემდეგი სისტემის საფუძველზე:

- კომერციული (ფინანსური) ეფექტიანობა;
- საბიუჯეტო ეფექტიანობა;
- ეკონომიკური ეფექტიანობა.

პროექტის ეფექტიანობის კომპლექსურად შეფასების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მისი სოციალური და ეკოლოგიური შედეგების გამოვლენა. საინვესტიციო

პროექტის ეფექტიანობის რაოდენობრივად დასაბუთებაში წამყვან როლს თამაშობენ მეთოდები, რომლებიც ფულადი სახსრების დისკონტირებას ეყრდნობიან.

**პროექტის კომერციული (ფინანსური) ეფექტიანობა** ითვალისწინებს პროექტის განხორციელების ფინანსურ შედეგებს მის უშუალო მონაწილეთათვის, მას განსაზღვრავენ დანახარჯებისა და იმ ფინანსური შედეგების თანაფარდობით, რომლებიც შემოსავლების მოთხოვნილ დონეს უზრუნველყოფენ.

**საბიუჯეტო ეფექტიანობა** გვიჩვენებს პროექტის რეალიზაციის გავლენას სახელმწიფო, რეგიონული ან ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

**ეკონომიკური ეფექტიანობა** ასახავს თუ როგორ ზემოქმედებს საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის პროცესი გარე სამყაროზე და ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების იმ შედეგების და ხარჯების თანაფარდობას, რომლების შეფასებაც რაოდენობრივად შეუძლებელია.

სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის ვარიანტების შედარებისა და მათგან საუკეთესოს ამორჩევისთვის შემდეგ მაჩვენებლებს იყენებენ:

- წმინდა დისკონტირებულ შემოსავალს (net present value-NPV);
- შემოსავლიანობის ანუ მომგებიანობის (რენტაბელობის) ინდექსს (profitability index-PI);
- გამოსყიდვის ვადს (pay-back-PB).

წმინდა დისკონტირებული შემოსავალი არის პროექტის რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად შემოსულობათა თანხასა და ყველა საინვესტიციო დაბანდების დისკონტირებულ ღირებულებათა თანხას შორის სხვაობა, თუ ვიგულისხმებთ, რომ დისკონტის ფორმა უცვლელია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და ანგარიში საბაზო ფასებით ხორციელდება, მაშინ მთლიანი პროექტისთვის წმინდა დისკონტირებული შემოსავლის ფორმულა იქნება:

$$NPVi = \sum_t (R_t - I_t)(1+r)^{-t}$$

სადაც  $R_t$  - ბიჯის შედეგია;  $t$ - ფულადი შემოსავლის თანხა პერიოდში;  $I_t$  -სახსრების დაბანდებები  $t$  პერიოდში;  $(R_t - I_t)$  -  $t$  ბიჯზე მიღწეული ეფექტი;  $r$ - დისკონტის ნორმა.

ინვესტიციების სუბიექტის - წმინდა დაყვანილი შემოსავლის გაანგარიშების ფორმულა კრედიტზე პროცენტის გათვალისწინებით:

$$NPVi = \sum_t (R_t - I_t - P_t)(1+r)^{-t}$$

$P_t$  - კრედიტზე გადახდილი პროცენტები;  $r_t$  - რეციპიენტის საკუთარი კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება.

კომერციული ბანკის შემთხვევაში გვაქვს წმინდა დაყვანილი შემოსავლის გაანგარიშების შემდეგი ფორმულა:

$$NPV_b = \sum_t (D_t + P_t - K_t)(1+r_h)^{-t}$$

სადაც  $PP_t$  - კრედიტის დაბრუნება;  $K_t$  - კრედიტის მიღება;  $r_h$  - ბანკის დისკონტის ნორმა.

ამ ფორმულის გამოყენება შეუძლიათ შედარებითი შეფასებისათვის საინვესტიციო დაკრედიტების ვარიანტების შერჩევისა და საინვესტიციო პროექტების დაკრედიტების დროს. წინდა დაყვანილი შემოსავლის უარყოფითი ან ნულოვანი მნიშვნელობისას სახსრების დაბანდება არაეფექტიანია, რადგანაც მას დამატებითი შემოსავალი არ მოაქვს.

რენტაბელობის შიდა ნორმა გამოხატულია დისკონტის იმ ნორმით, რომლის დროსაც ინვესტირებით განპირობებული ფულადი ნაკადის მომავალი ღირებულება ინვესტირებული სახსრების მიმდინარე ღირებულების ტოლია

$$\sum_t (R_t - I_t)(1+r_r)^{-t} = \sum_t I_0 (1+r_r)^{-t}$$

რენტაბელობის ინდექსი ახასიათებს ინტეგრალური ეფექტის NPV მატების შეფარდებით ნორმას დაბანდებაზე  $I_0$  სახსრების ერთეულზე:

$$PI = (\sum_t (R_t - I_t)(1+r_r)^{-t}) / I_0$$

დაბანდებათა სხვადასხვა დროს განხორციელების შემთხვევაში დისკონტირების ხერხს იყენებენ არამართო ფულადი ნაკადების გამოთვლის დროს, არამედ დანახარჯების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის დროსაც. მაჩვენებლის ამ ვარიანტს „შემოსავალ-დანახარჯების“ კოეფიციენტი ქვია:

$$PI = (\sum_t (R_t - I_t)(1+r_r)^{-t}) / \sum_t I_0 (1+r_r)^{-t}$$

შემოსავლიანობის მომგებიანობის(რენტაბელობის) ინდექსი მჭიდრო კავშირშია წმინდა დაყვანილი შემოსავლის მაჩვენებელთან, თუ მნიშვნელობა დადებითია, მაშინ შემოსავლიანობის ინდექსი 1-ზე მეტია და პირიქით.

ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელია გამოსყიდვის ვადა. ეს ის პერიოდია რომლის განმავლობაშიც საინვესტიციო დაბანდებები იფარება მათი განხორციელებით განპირობებული ჯამური შედეგებით, ანუ ესაა ის მინიმალური დროითი ინტერვალი, რომლის ფარგლებს გარეთ ინტეგრალური ეფექტი დადებითი ხდება და ასე რჩება შემდეგშიც.

გამოსყიდვის პერიოდის (Pay back period - PP):

$$PP=I_0/(R_t - I_t)$$

სადაც  $(R_t - I_t)$  საინვესტიციო რეალიზაციით მიღებული ფულადი შემოსულობების საშუალო წლიური თანხაა.

ამ მეთოდის აქვს გარკვეული ნაკლი, როგორცაა დროში ფულის ფასის განსხვავების არსებობის გაუთვალისწინებლობა. თითოეულამ ამ მეთოდს აქვს გარკვეული უპირატესობები და ნაკლოვანებები ამიტომ ინვესტიციების შედარებითი ეფექტიანობის შესაფასებლად უნდა გამოვიდეთ ამ მაჩვენებლების იერარქიიდან და უნდა გავანალიზოთ რომ შედარებითი ეფექტიანობის შეფასების ცალკეული მაჩვენებლების მნიშვნელობა გამომდინარეობს ინვესტირების მიზნით მათი კავშირის ხარისხიდან. (ქოქიაური, 2017:209-217)

#### 1.4 საინვესტიციო პროექტების დაფინანსების წყაროები

საწარმოს გააჩნია პროექტის დაფინანსების შიდა და გარე წყარო ანუ საკუთარი და მოზიდული სახსრები.

საკუთარს მიეკუთვნება:

- საწესდებო კაპიტალი-საპაიო შენატანები, აქციების გაყიდვიდან მიღებული სახსრები;
- კომპანიის, ორგანიზაციის მიერ დაგროვილი რეზერვები;
- ფიზიკური პირების შენატანები, იურიდიული პირების შენატანები (საქველმოქმედო შენატანები, მიზნობრივი ფინანსირება და სხვა);

მოზიდული სახსრები ანუ ნასესხებია:

- კომერციული ბანკებისგან მიღებული ფულადი საშუალებები (სესხები);
- ობლიგაციების გაყიდვით და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული სახსრები;

- კრედიტორული დავალიანებები;
- სხვა სასესხო საშუალებები.

ნებისმიერი ფირმის ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისათვის აუცილებელია საჭირო რესურსების ფორმირება, რესურსების სიდიდე აისახება წესდებაში და მას უწოდებენ საწესდებო კაპიტალს ასე რომ ნებისმიერი სამეურნეო აბიექტის ეკონომიკური საქმიანობა ფინანსდება საწესდებო კაპიტალით.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლების მიერ განხორციელებული შენატანების ჯამს, ეს შენატანები შეიძლება იყოს ფულადი საშუალებები, ძირითადი ფონდები, მატერიალური საშუალებები, ინტელექტუალური საკუთრება. ნებისმიერი სახის შენატანის ღირებულება ფასდება ეროვნულ ვალუტაში კონკრეტული თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამფუძნებლების მიერ შეტანილი ფულადი სახსრების უკან დაბრუნება შესაძლებელია საწესდებო კაპიტალის შემცირებით, რაზეც შედეგა ოქმი „საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ“. ნებისმიერ დამფუძნებელს წილიდან გასვლის შემთხვევაში ერგება ფულადი საშუალებები თავისი წილის პროპორციულად.

საკუთარი საშუალების ძირითად წყაროს საწარმოში წარმოადგენს მოგება, რომელიც განიხილება, როგორც მისი საქმიანობის შედეგი.

ცალკეულ შემთხვევებში მოგება შეიძლება იყოს საინვესტიციო პროექტის ფინანსირების ერთადერთი წყარო, ეს მაშინ ხდება როდესაც პროექტი ინოვაციურია და ანალოგი არ ყავს, აღნიშნულ შემთხვევაში პროექტი ხასიათდება გამოსყიდვის გრძელი ვადით და მაღალი რისკით, ამ დროს საწარმო ფაქტიურად მოკლებულია დაფინანსების სყვა წყაროების მოზიდვის შესაძლებლობას, მაგალითად საბანკო კრედიტს.

საინვესტიციო პროექტის დაფინანსების წყაროს დაკავშირებულს საწარმოს მოგებასთან, წარმოადგენს **საამორტიზაციო ანარიცხები**, რომელიც იყოფა ორ ჯგუფად:

▪ „სწორხაზობრივი თანაბარზომიერი ამორტიზაცია ნორმებით, რომელიც ასახულია ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობაში ძირითადი ფონდების კონკრეტული ჯგუფისათვის;

▪ არახაზობრივი(დაჩქარებული ან შენელებული) ამორტიზაცია, რომელიც წინა პერიოდისათვის არაპროპორციულად მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საამორტიზაციო ანარიცხების წარმოების საშუალებას იძლევა.“ (ბარათაშვილი...,2011:161)

დაჩქარებული ამორტიზაციის დროს იზრდება წარმოების დანახარჯები, მცირდება მოგება, მაგრამ იზრდება ფულადი ნაკადი. თუ საწარმო არ მიჰყავს ბიუჯეტის დავალიანების წარმოქმნამდე, მაშინ დაჩქარებული ამორტიზაცია სასარგებლოა. აგრეთვე დაჩქარებული ამორტიზაციის დროს საწარმო სწრაფი ტემპით ანახლებს დანადგარებს და ამ გზით ზრდის კონკურენტუნარიანობას.

საწარმოს საინვესტიციო პროექტის დაფინანსებისათვის თუ არ ყოფნის საკუთარი სახსრები, მაშინ მიმართავს კრედიტს.

კრედიტი ორი სახისაა: კომერციული კრედიტი და საბანკო კრედიტი რომელნიც ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდება.

**კომერციული კრედიტი** მდგომარეობს გაყიდულ საქონელზე გადასახდელების განვადებაში, გადასახადი შეიძლება შევიდეს საქონლის ფასში ან დაერიცხოს პროცენტის სახით კრედიტის ვადიდან გამომდინარე.

**საბანკო კრედიტი** ეს არის ბანკის ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხი ვადის, დაბრუნების, გადახდის პირობებით. კრედიტი შეიძლება იყოს მოკლე და გრძელ ვადიანი. მოკლევადიანი ერთ წლამდე პერიოდით და გრძელ ვადიანი ერთ წელზე ზევით.

საბანკო კრედიტისგან განსხვავებით, საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების ერთ-ერთი მეთოდია **ობლიგაციური სესხების** გამოყენება, ობლიგაციის მყიდველი იძენს მას იმ ვადის მიხედვით რა ვადითაცაა ის გამოშვებული. ობლიგაციის მყიდველი კრედიტორის როლშია, რამდენადაც ობლიგაციის ემისია წარმოადგენს ფულადი საშუალებების გასესხების ფორმას. ვინაიდან ობლიგაციები გრძელვადიანებია, ისინი განიხილება, როგორც ინვესტიციების განსაკუთრებული ფორმა, ხოლო მყიდველი წარმოდგება ინვესტორის როლში.

**საბიუჯეტო დაფინანსება** ანუ სახელმწიფო წყაროებიდან დაფინანსებაში იგულისხმება დაფინანსება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, აგრეთვე არასაბიუჯეტო ფონდებიდან ასიგნება. საბიუჯეტო დაფინანსებას აქვს განსაკუთრებული პირობები, როგორცაა: საინვესტიციო პროექტების გამოსყიდვის ვადა უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე (2წელზე ნაკლები), ასევე ივესტორს უნდა ჰქონდეს ჩადებული საკუთარი სახსრები საინვესტიციო პროექტის ღირებულების მინიმუმ 20 %.

საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს საინვესტიციო პროექტების დაფინანსების არატრადიციული ფორმები, რომელსაც განეკუთვნება: ვენჩრული დაფინანსება, ფრანჩაიზინგი, ფაქტორინგი, ლიზინგი.

„ვენჩრული დაფინანსების არსი მდგომარეობს საწარმოებისათვის კრედიტის შეთავაზებაში სავალე ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს დავალიანების აქციებში კონვერსიის უფლებას ან ვენჩრული ინვესტორების მიერ ახალი კომპანიის აქციების შექმნაში. ვენჩრული ფინანსირება დაფუძნებულია ეტაპობრივ დაფინანსებაზე, უპროცენტოდ სახსრების შეთავაზებაზე.

ფრანჩაიზინგი არის ურთიერთობათა სისტემა ორ მხარეს შორის: კონკრეტული საქმიანობის შემსრულებელ სისტემის მფლობელ საწარმოსა (ფრანჩაიზერი) და ამ სისტემის გამომყენებელ საწარმოს შორის (ფრანჩაიზი). ხელშეკრულების საფუძველზე ფრანჩაიზერი სთავაზოფს ფრანჩაიზს კუთვნილ ინტელექტუალურ საკუთრებას, პრივილეგირებულ საფუძველზე. ფრანჩაიზერი ფრანჩაიზს უწევს მუდმივ ორგანიზაციულ, ტექნიკურ და კომერციულ დახმარებას.

ფაქტორინგი არის მუდმივი შეთანხმება, რომლის მიხედვით შუამავალი-ფაქტორი (ბანკი) იძენს საწარმოს დებიტორების ანგარიშებს, იღებს თავისთავზე რისკებს. ფაქტორი ასევე აწარმოებს ყველა კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმებას.“(ზარათაშვილი, 2011:166)

ლიზინგი მოკლედ რომ ვთქვათ კი წარმოადგენს გრძელვადიან იჯარას საინვესტიციო ფასეულობებზე.

## თავი II. საინვესტიციო პროექტების მართვა ქართულ კომპანიებში

### 2.1 საინვესტიციო გარემო საქართველოში

საინვესტიციო გარემო არაა მხოლოდ დამოკიდებული გეოგრაფიულად სტრატეგიულ ტერიტორიაზე, არამედ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, უნდა განისაზღვროს რას ვთავაზობთ ინვესტორს და რას გვთავაზობს თვითონ, გასათვალისწინებელია სხვა მრავალი რიგი ფაქტორები, რომელნიც ინვესტიციას აქცევს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ზრდის ერთ - ერთ მამოძრავებელ ძალად. ასეთი მამოძრავებელი ძალა არის ინვესტირება ქვეყნის შიგნით მაკროეკონომიკურ გარემოში მოქმედი სუბიექტების მიერ და უცხოური ინვესტიციები, რათქმაუნდა მნიშვნელოვანი წილი უცხოურ ინვესტიციებზე მოდის. ინვესტიცია უცხოური თუ ადგილობრივი, ნებისმიერი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მას ყოველთვის თან ახლავს ეკონომიკის გააქტიურება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. ქვეყნის შიგნით ინვესტირების განსახორციელებლად საჭიროა დანაზოგების არსებობა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ დანაზოგები არ არის საკმარისი, ხსნა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაშია. განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის, უცხოური ინვესტიციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან იმ სუბიექტების რაოდენობა, რომელთაც აქვთ დანაზოგები ინვესტირებისათვის, ძალიან ცოტაა. როგორც ექსპერტები განმარტავენ, უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს თუ როგორია ეკონომიკური პოლიტიკა და საინვესტიციო გარემო ამა თუ იმ ქვეყანაში. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის საცოცხლოდ მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემოს შექმნა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ზრდა, რაც გადაჭრის ისეთ აქტუალურ პრობლემებს როგორებიცაა: უმუშევრობის შემცირება, ექსპორტის, ასევე სავალუტო შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა- განვითარება. საბოლოო ჯამში ამ ყველაფერმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია.

როგორც აღვნიშნეთ ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის სისტემატური ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეკონომიკაში საინვესტიციო

რესურსების არსებობის დონე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი კლიმატისა და მათი ეფექტიანი გამოყენების მექანიზმების ჩამოყალიბება. ინვესტიციური კლიმატი არის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს ინვესტიციური პროცესები. მისი ფორმირება ხდება საკანონმდებლო-ნორმატიული,ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციალურ - პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით.

ცნება „ინვესტიციური კლიმატი“ გამოიყენება უპირატესად საბაზრო ეკონომიკისათვის, როდესაც სამეურნეო გარემო არ ექვემდებარება პირდაპირ მართვას. თანამედროვე საქართველოსათვის, სხვა მრავალ აქტიურ საკითხთან ერთად მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე. მის ფორმირება ხდება საკანონმდებლო-ნორმატიული, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებიც განსაზღვრავენ ინვესტიციური საქმიანობის პირობებს მთლიანად ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონში. საქართველოსათვის და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური აღმავლობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია ამ ეტაპისთვის არის ის, რომ მოვიზიდოთ უცხოურ ინვესტიციათა დიდი რაოდენობა, რათა ქვეყანაში აღდგეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობის ძალას წარმოადგენენ ქვეყნისთვის. მაგრამ ამისათვის აუცილებელია ქვეყნის საინვესტიციო გარემო იყოს სტაბილური და მიმზიდველი უცხოელი ინვესტორისათვის. როგორც ვიცით ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში ძირითადად მონაწილეობას იღებენ შემდეგი ფაქტორები: მაკროეკონომიკური მდგომარეობა, საკანონმდებლო ბაზა სოციალურ-პოლიტიკური პირობები, ბიზნესის ფუნქციონირების პირობები და სხვა ფაქტორები. (საინვესტიციო....2018:4)<sup>1</sup>

საინვესტიციო გარემო საქართველოში თანამედროვე პირობებში სხვადასხვა მიზეზების გამო ძნელი შესაფასებელია. როგორც წესი უცხოელი ინვესტორები პოზიტიურად აფასებენ ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას, მოპოვებასა და დამუშავებაში მზად არიან დააბანდონ მნიშვნელოვანი თანხები. ინვესტორებისათვის უმნიშვნელოვანესია მიმღები ქვეყნის განვითარების ხასიათი, რომელშიც აისახება

---

<sup>1</sup> შენიშვნა: <https://kitxvazepasuxi.wordpress.com/blog/page/2/>

ზრდისა და განვითარების ტემპები, ინფლაციის დონე, შიდა სახელფასო ვალის სიდიდე და სხვა.

საქართველოს რეფორმების ერთ-ერთი მიზანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკის უმეტეს პოზიციებში ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, საქართველოსათვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი, რომელიც ქვეყნისათვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს, აგრეთვე წაახალისებს შიდა ინვესტიციებსაც. მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საინვესტიციო „ბუმი“ იწყება უცხოური კაპიტალის შემოსვლით, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით. ამასთან, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის არსებობისას შეიძლება შეღავათების შემოღება გარკვეულ სექტორებში, წარმოებისა და რეგიონების მიმზიდველობის ხელშეწყობის მიზნით.

ქვეყანა მოქნილ პოლიტიკას უნდა ატარებდეს როგორც ისტორიული თვალსაზრისით ასევე ეკონომიკური, რომელსაც წამახალისებელ ღონისძიებების ეფექტიან კონტროლს შეუხამებს. ასეთი კონტროლი გულისხმობს კეთილსასურველ ინვესტიციური გარემოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი წანამდგვრების მიზანმიმართულად შექმნას, რომლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილებია მოგების გარკვეული დონის მიღების გარანტია, საზღვარგარეთ მისი გადაგზავნის შესაძლებლობის არსებობა. ამასთან, უსაფრთხოების ერთიანი გარანტიების დროსაც შეღავათების და პრივილეგიების ოდენობა განსხვავებული შეიძლება იყოს. ამით უცხოური ინვესტიციებს ჩვენთვის სასურველი მიმართულება ეძლევა.

საგულისხმოა, რომ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობს ხელს (იგი უძველესი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია). მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, სარკინიგზო საავტომობილო და მილსადენი მარშრუტების საქართველოში წარმოებული ბიზნესისათვის სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა.


უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რამოდენიმე წელი საქართველო მართლაც არ უჩივის ინვესტორებს, განსაკუთრებით უცხოელ ინვესტორებს, რაც ნამდვილად

სახარბიელოა ქვეყნისთვის. არა ერთი უცხოელია დაინტერესებული ჩვენი ტერიტორიული მდებარეობით, ბუნებრივი რესურსებით, უნიკალური ნედლეულით და კლიმატით.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივების ანალიზის დროს აუცილებელია სამამულო დამზოგველთა საინვესტიციო შესაძლებლობათა და საინვესტიციო პროცესში მათი როლის შეფასება. პოლიტიკა უცხოელი ინვესტორების მიმართ სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მტკიცე კავშირი სამამულო ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებებსა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას შორის, ეკონომიკის და ფინანსების ამ ორი წყაროს ურთიერთგავლენა განაპირობებს მათი კომპლექსური შესწავლის მიზანშეწონილობას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2015-2020 წელს

დიაგრამა №1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასშტაბები და მიზანმიმართულება პირდაპირ არის დაკავშირებული სამამულო ინვესტორთა მდგომარეობასთან, მათ შესაძლებლობასთან, სახელმწიფოს შიგნით აქტიურობის დონესთან. ამასთან, შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების ფართო მასშტაბიანი მოზიდვა ბაზრის საკმაოდ განვითარებული სუბიექტების გარეშე, რომლებსაც ძალუძთ მოზიდული კაპიტალის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა როგორც საერთო გაგებით,

ისე კონკრეტულად, ერთობლივი მეწარმეობის შესაძლებლობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე სამამულო ინვესტორთა მხარდაჭერა, ბაზრის ინსტიტუციონალური საფუძვლების ფორმირება წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას.


დიაგრამაში ნაჩვენებია ბოლო 5 წლის ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვარტლების მიხედვით, რომლის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაზრდილია წინა წლებთან შედარებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 52,9%-ით შემცირდა. მისივე ცნობით ამის მიზეზი რამდენიმე საწარმოს საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში გადასვლა და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება, რამაც უცხოური ინვესტიციები 390,2 მილიონი აშშ დოლარით შეამცირა, ამავე მიზეზით მეოთხე კვარტალში 102,8 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა.

2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მოხდა სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლის მიხედვითაც მონაცემებს აქვს შემდეგი სახე:

დიაგრამა №2

### უმსხვილესი ინვესტორის წილი 2020 წ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი საფინანსო სექტორზე მოდის 400,3 მილიონი აშშ დოლარი, შემდეგია სამთომომპოვებითი მრეწველობა 101,5 მლნ აშშ დოლარი, სასტუმროებისა და სარესტორნო სექტორში

ინვესტირება კი შემცირდა 201,5 მლნ აშშ დოლარით. 2019 წლის მეოთხე კვარტალში სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ წარმოადგინა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განახლებული სტრატეგია, რომლის მხედვით პრიორიტეტული სექტორებია უძრავი ქონება და სასტუმრო, ბიზნესპროცესების აუთსორინგი, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, ელექტრონული მოწყობილობების კომპონენტები, ავტომობილების და თვითმფრინავების ნაწილების წარმოება.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ისევე როგორც განათლების დონის ამაღლების, გამოკვეთილი უპირატესობაა საერთო კონსენსუსი მათ მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. ამ გადმოსახედიდან, შემოთავაზებული სტრატეგია, შედარებით, მეტად უზრუნველყოფს განგრძობადობას და ცვლილებებისადმი მედეგობას. (ფალავანდიშვილი, 2020:1-3)<sup>2</sup>

ბოლო პერიოდში მსოფლიო ასპარეზზე განვითარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების შედეგად საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პერსპექტივები ვლინდება და ვითარდება. მათ შორის აღსანიშნავია ბოლო პერიოდში ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობების ბუმი.

მიუხედავად ჩვენს მიერ ახსნილი ინვესტიციების სიკეთისა, მას გააჩნია უარყოფითი მხარეებიც. ის, რომ თუ ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე და ამით მოხდება ეკონომიკის აღმავლობა, შედეგად მივიღებთ იმას, რომ ყველაზე მომგებიან დარგებს შეისყიდიან უცხოელები, სავარაუდოა ის რომ წილში ჩაუჯდება ადგილობრივი მაღალი დონის ჩინოვნიკი (ამის ალბათობა ძალიან დიდია ყველა ქვეყანაში და ხელისუფლებაში, არც გამონაკლისია საქართველო). ამას შესაძლოა მოჰყვეს ის, რომ ადგილობრივებს დაასაქმებენ, მაგრამ იაფ მუშა-ხელად, დროებით მუშად, რომელსაც შრომითი ხელშეკრულებით ექნება მხოლოდ მომსახურების ფუნქცია. უფრო მეტიც, რადგან ტოპ-მენეჯერები უცხოელები იქნებიან, ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ რიგითი თანამშრომლების უმრავლესობასაც უცხოელებს ჩამოიყვანებენ, ადგილობრივები კი (თუნდაც დიპლომიანები) – შეიძლება იყვნენ დამლაგებლები, მძღოლები, მიმტანები და ა.შ. ამ ყველაფრის მიუხედავად მაინც მთავარი პრობლემა ისაა, რომ უცხოელ ინვესტორს

<sup>2</sup> შენიშვნა: <https://www.geocase.ge/ka/publications/267/saqartvelos-sainvesticio-politika-natsili-i>

მთელი მოგება თავის ქვეყანაში მიაქვს. ამგვარ შემთხვევაში, ადგილობრივი ბიზნესი ვერასდროს შეძლებს მისთვის კონკურენციის გაწევას, თუ არ იქნება გატარებული საქართველოს მხრიდან პროტექციონისტული პოლიტიკა, როგორც ეს არის ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე და განსაკუთრებით კი იაპონიაში, რომელსაც 11 ათასზე მეტ პროდუქტიაზე აქვს პროტექციონისტული მიდგომა. ამასთან, როცა დანგრეულ ეკონომიკაში შემოდის უცხოელი ინვესტორი, ის დარგის მონოპოლისტი ხდება, ითვისებს ბაზარს და რადგან ადგილობრივებს შესაბამისი კაპიტალი არ აქვთ.

## 2.2 საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდები ქართულ კომპანიებში

ქართულ კომპანიებში საინვესტიციო პროექტის მართვა მნიშვნელოვნად გამომდინარეობს იქედან, თუ რა ტიპის საინვესტიციო პროექტია ის, არსებობს პროექტები რომელთა მიზანია დადებითი გავლენის მოხდენა გარკვეულ თემებზე ამიტომ შეგვიძლია ჩავთვალოთ რომ ისინი არ ეძებენ ეკონომიკურ სარგებელს, მაგრამ წყვეტენ ისეთ პრობლემებს როგორცაა სიღარიბე და ავადმყოფობის დაძლევა, საინვესტიციო პროექტი შეგვიძლია დავყოთ ტიპებად გარკვეული კრიტერიუმების დაცვით საბოლოო მიზნიდან გამომდინარე.

ეს ტიპებია:

- კერძო ინვესტიციები;
- საზოგადოებრივი ინვესტიციები;
- სოციალური ინვესტიციები.

კერძო საინვესტიციო პროექტები ეხება მათ ვისი მიზანიც არის ინვესტიციების მომგებიანობა ამ მიზეზით მისი კაპიტალი მოდის კერძო კომპანიებისგან, რომლებიც ცდილობენ მომავალში ფინანსური სარგებლის მიღებას, ამასთანავე კომპანიის კვლევისა და მარკეტინგის განყოფილებები ცდილობენ მომსახურებისა და პროდუქციის ხარისხის გაზრდას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას რაც უზრუნველყოფს ხარჯების შემცირებას.

კერძო ინვესტიციების მახასიათებლად შეგვიძლია განვიხილოთ მისი მიზნობრიობა, რომ კომპანია ცდილობს მიაღწიოს მომგებიანობას, საწყისი

კაპიტალის ინვესტიციის აღსადგენად, ასევე მიიღოს მაქსიმალური სარგებელი მცირე ინვესტიციაზე და მისი სრულად ინვესტირებული თანხები არის აბსოლიტურად კერძო.

კერძო სექტორში ძალიან გავრცელებული ინვესტიცია არის ის, რაც ახალი პროდუქტის/მომსახურების ან ახალ ბაზარზე შესვლას ისახავს მიზნად. ამ ინვესტიციის მაგალითი შეიძლება იყოს ტექნოლოგიური კომპანიის მიერ ახალი ელექტრონული მოწყობილობის შექმნა, რომელიც შეიძლება ახალ ბაზარზე იყოს მიმართული.

საზოგადოებრივი ინვესტიციების პროექტს მართავს სახელმწიფო და აქ სარგებელი არამხოლოდ ეკონომიურია არამედ სოციალურიც, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს საზოგადოების დიდმა ნაწილმა, სწორედ ასეთი პროექტების შერჩევა შეფასება და ინვესტირება მნიშვნელოვნად გაზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, სწორედ ასეთი საინვესტიციო პროექტების მახასიათებლებია:

- სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება;
- მომგებიანობა იზომება სოციალური ზემოქმედებით;
- სახელმწიფო არის მმართველი და განმახორციელებელი პროექტების;
- ხდება სახსრების ინვესტირება და გადასახადები შეგროვება.

საზოგადოებრივ პროექტებში ჩვენ შეგვიძლია შევიყვანოთ ის მეტად მნიშვნელოვანი პროექტები რომელიც ემსახურება ინფრასტრუქტურის განვითარებას, ბიზნესის განვითარებას, გარემოს დაცვას და სოციალურ კეთილდღეობას.

და ბოლოს სოციალური ინვესტიციის პროექტების მიზანია მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობა, მისი დამფინანსებელი შეიძლება იყოს კერძო სექტორი და სახელმწიფო, დღევანდელი მდგომარეობით წმინდა სოციალურ ინვესტიციებს ძირითადად კერძო კომპანიები ახორციელებენ.

„საინვესტიციო პროექტების შეფასებების თავისებურებების გასათვალისწინებლად მისი მნიშვნელობის, რეალიზების მიზნებისა და დაფინანსების სქემის მიხედვით, რეკომენდაციებში შემოთავაზებულია საინვესტიციო პროექტების შეფასების განსაზღვრა ორი მიმართულებით:

- საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობა მთლიანობაში;

- პროექტში მონაწილეობის ეფექტიანობა“. (ფუტკარაძე, 2016: 101)

საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობა მთლიანობაში მოიცავს მის საზოგადოებრივ და კომერციულ ეფექტიანობას.

„საზოგადოებრივი ეფექტიანობის მაჩვენებლები ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების განხორციელების სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს მთელი საზოგადოებისათვის, ასევე საინვესტიციო პროექტის შედეგებს და დანახარჯებს, ასევე პროექტის გარე დანახარჯებს და შედეგებს ეკონომიკის მომიჯნავე სექტორებში. რეკომენდირებულია მომიჯნავე დარგებში ეფექტიანობა შეფასდეს შესაბამისი არსებული ნორმატიული და მეთოდური მასალებით. სხვადასხვა შემთხვევებში დასაშვებია ეკონომიკის მომიჯნავე დარგებში საინვესტიციო პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების გამოყენებით.

საინვესტიციო პროექტების კომერციული ეფექტურობის მაჩვენებლები ითვალისწინებს მისი განხორციელების ეკონომიკურ შედეგებს უშუალოდ მონაწილეებისათვის, რომლებიც ახდენენ საინვესტიციო პროექტის რეალიზებას, იმ ვარაუდით, რომ იგი გაიღებს პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო ყველა ხარჯს და მიიღებს გარკვეულ შედეგებს. პროექტში მონაწილეობის ეფექტურობა განისაზღვრება მისი რეალიზებადობის შემოწმებისა და ყველა მონაწილის დაინტერესების უზრუნველყოფის მიზნით.“ (ჯაფარიძე, 2012:143)

საინვესტიციო პროექტების საწარმოო მიმართულების შემუშავება და რეალიზაცია, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია - დაწყებითი იდეებიდან მის მატერიალურ განხორციელებამდე. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ საინვესტიციო პროექტების მიმზიდველობაზე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა რომ, ყველაზე ნაკლებად მიმზიდველია მსხვილი გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტები. საინვესტიციო პროექტის განხორციელება საჭიროებს მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გარკვეული ერთობლიობის განხორციელებას. ეს ღონისძიებებია: წინასაინვესტიციო კვლევების ჩატარება, რეალიზაციის შესაძლებლობათა ანალიზი, სხვადასხვა რიგი კონტრაქტების გაფორმება, დაფინანსების ორგანიზება, რესურსებით უზრუნველყოფა, მშენებლობა, ობიექტის ექსპლუატაციაში ჩაშვება. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია საინვესტიციო პროექტების სტრუქტურული დაყოფა გარკვეული რაოდენობის ურთიერთდაკავშირებულ სტადიებად. ასეთი

დაყოფის მიზანია სხვადასხვა სტადიებზე განსახორციელებელი მმართველობის ოპტიმიზაცია.

საწარმოები საინვესტიციო პროექტების ეფექტური მართვის პრობლემის წინაშე დგანან და ეს პრობლემა მდგომარეობს სწორედ პირდაპირ ინვესტიციებში, რომლებიც ეკონომიკის აღმავლობის ძრავი უნდა გახდეს. პრობლემის არსი ყოველთვის მოცულობების გაზრდაში როდი მდგომარეობს, უფრო მნიშვნელოვანია ეფექტიანობის ამაღლება, დაბანდებების ინტენსიურობის მიზნით პირობების შექმნა უფრო მომგებიან, პერსპექტიულ საწარმოებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სწრაფ უკუგებას და იძლევიან როგორც თავად საწარმოების, ისე მოსახლეობისა და ბიუჯეტის შემოსავლების მაქსიმალურად გაზრდის შესაძლებლობას. მაღალეფექტური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე შეუძლებელია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, უმუშევრობის დონის შემცირების და ეკონომიკური ზრდის მიღწევის ამოცანების გადაჭრა. ასევე, საწარმოების საინვესტიციო პროექტების მართვის ეფექტიანობის ამაღლება საჭიროებს მათი კაპიტალიზაციის მნიშვნელოვან ამაღლებას, რათა შეიქმნას საინვესტიციო რესურსებისა და საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენების ეკონომიკური საფუძველი.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხა კოვიდ-19 ის პანდემიამ, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა გადაუდებელი ამოცანაა. ეს კი შემდეგი ამოცანების დროულ გადაჭრაზეა დამოკიდებული:

**პირველი,** მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. იგი აკავებს ინფლაციასა და გარკვეულ წილად აფერხებს წარმოების დაცემას. თანაც, ხაზი უნდა გავუსვათ ერთ გარემოებას: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის აუცილებელია ნეგატიური პროცესების აღკვეთა, მათზე მუდმივი კონტროლი და დროული რეაგირება;

**მეორე,** სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით;

**მესამე,** სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, რაც განამტკიცებს უმრავლეს საწარმოთა ფინანსურ

მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს;

**მეოთხე,** აუცილებელია შეიქმნას საინვესტიციო პროექტების დაზღვევის შესაბამისი სისტემა.

საინვესტიციო პროექტის ეფექტურ მართვას ქართულ კომპანიებში საერთო ჯამში, აფერხებს ქვეყანაში არასაკმარისი შიდა რესურსები. ამის ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ საინვესტიციო პროექტების მართვის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემების მოგვარება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდის ან დამატებითი სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფის გზით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსები ყოველთვის შეზღუდულია, რადგან პირველ რიგში, აუცილებელია სასიცოცხლო მნიშვნელობის საწარმოო დარგების მხარდაჭერა და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტების განხორციელება.

იმ ფონზე რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსები ყოველთვის შეზღუდულია, საინვესტიციო პროექტების დაფინანსების ერთ-ერთი ხელშემწყობი სააგენტოა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მხარდაჭერით ხორციელდება მრავალი ქართული პროექტის დაფინანსება, ეს იქნება წამოწყება თუ არსებული ბიზნესის განვითარება და სწორედ ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ 2020 წელს მიუხედავად კოვიდ-19-ით გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, რუსთავეში ახალი სამკერვალო გაიხსნა, სახელად „ქართული ტექსტილი“, ამით 4000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა ადგილობრივებისათვის, ეს არის 2020 წლის ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომელიც „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით შეიქმნა. „ქართული ტექსტილი“ -ში დაინერგა უახლესი ტექნოლოგიის დანადგარები, რაც მას საშუალებას მისცემს, ისეთ კომპანიებს, როგორებიცაა: Nike, Adidas, Puma, Lotto, Erima, Under Armour ეფექტური ტექნოლოგიით დამზადებული, მაღალხარისხიანი პროდუქცია მიაწოდოს. პროექტის ჯამური ინვესტიცია 20 მილიონი ლარია და საწარმოში 4000მდე სამუშაო ადგილია, 90 პროცენტი მომუშავეების შეადგენენ ქალები. საწარმო „ ქართული ტექსტილი“ ქართული ექსპორტიორი კომპანიის შპს „აჭარა ტექსტილი“-ს პროექტია. აჭარა ტექსტილი წლიურად 15 მილიონზე მეტი ერთეული პროდუქციის წარმოებასა და ექსპორტს ახორციელებს.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ USAID (ინფორმაციის უსაფრთხოებისა და

სანდოობის ახალი პროგრამა )-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერით [www.tradewithgeorgia.com](http://www.tradewithgeorgia.com) პლატფორმის ახალი ფუნქციონალით, ქართველი მეწარმეები და სერვისის მიმწოდებელი კომპანიები საერთაშორისო პოტენციური პარტნიორებისათვის შეძლებენ საკუთარი პროდუქციის თუ მომსახურების გაცნობას. პლატფორმას დაემატა კომპანიის შერჩევის და თანადაფინანსების ფუნქციონალი საერთაშორისო გამოფენისთვის, რაც გულისხმობს კომპანიების შერჩევას სრულიად ავტომატიზირებულ რეჟიმში. ამ საიტის მიზანია ქართული ნაწარმით და მომსახურებით დაინტერესებული უცხოელი ინვესტორებისთვის გამარტივდეს წვდომა ქართულ საექსპორტო პროდუქტებსა და მომსახურებაზე.

### 2.3 საქართველოში განხორციელებული მსხვილი საინვესტიციო პროექტები

„საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი კომპანიების TOP-20 შემდეგია:

- შპს მტკვარი ენერჯი – რომელიც საქმიანობაა: ელექტროენერჯით მომარაგება, დისტრიბუცია, რეალიზაცია და ელექტროენერჯის წარმოება. შპს “მტკვარი ენერჯი” წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ მსხვილ ელექტროენერჯის გენერირების ობიექტს. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივია 300 მგვტ სიმძლავრის თბოსადგური, რომელიც მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში. კომპანიაში დასაქმებული 200 - ზე მეტი ადამიანი. იგი წარმოადგენს ქვეყნის ენერჯო სტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვაკუთხედს;
- შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი – საქმიანობა: სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება, ახორციელებს სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებს;
- აიდიეს ბორჯომი – საქმიანობა: მინერალური წყლებისა და სხვა უალკოჰოლო სასმელების წარმოება, რომელიც როგორც ქართულ ბაზარზე ასევე გადის ექსპორტზეც;
- შპს მაგთიკომი – საქმიანობა: მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი;
- შპს ყაზტრანსგაზ-თბილისი – ძირითადი საქმიანობაა: გაზმომარაგება, განაწილება;

- GIG (საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი) – საქმიანობა: საწარმოების მართვა, საინვესტიციო კომპანიები, ჰოლდინგური კომპანიები;
- ფოთის საზღვაო ნავსადგური – საქმიანობა: ნავსადგურებისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო სააგენტოების მომსახურება;
- სს RMG Copper – საქმიანობა: ენერგეტიკა, ენერგორესურსები და სასარგებლო წიაღისეული;
- შპს RMG Gold – საქმიანობა: ენერგეტიკა, ენერგორესურსები და სასარგებლო წიაღისეული;
- BP ჯგუფი – საქმიანობა: ენერგოტრანსპორტირება და საწვავის მიწოდება;
- შპს ჯორჯიან მანგანეზი – საქმიანობა: ენერგეტიკა, ენერგორესურსები და სასარგებლო წიაღისეულისამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება;
- შპს ტოიოტა კავკასია – საქმიანობა: ავტობიზნესი, დისტრიბუცია;
- შპს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი-ს მუდმივმოქმედი ფილიალი – საქმიანობა: სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება;
- შპს აჭარისწყალი ჯორჯია – საქმიანობა: ენერგეტიკა, ენერგორესურსები და სასარგებლო წიაღისეულიფინანსები;
- ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში – საქმიანობა: სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება;
- ერთობლივი საწარმო აზფენ-ის საქართველოს ფილიალი – აზერბაიჯანული კომპანია საქართველოში საქმიანობა: მშენებლობა;
- სს Hualing international special economic zone – საქმიანობა: ჰუალინგის სპეციალური ეკონომიკური ზონა – ვაჭრობა, საინვესტიციო მომსახურება, სასტუმრო;
- შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი – საქმიანობა: თანაინვესტირების ფონდი ტურიზმის ფონდი;

○ სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი – საქმიანობა: ფარმაცევტული საქმიანობა;

○ შპს ალიუდ იუნიტას ჯორჯია – საქმიანობა: სამორინე.

არიან კომპანიები რომელიც ვერ მოხდა ოცეულში და საერთოდ გამოეთიშა ბაზარს, ან შეიძინა სხვა კომპანიამ. ერთერთი ასეთი კომპანია არის „ჯეოსელი“ რომელიც შეიძინა Silknet-მა 153 მილიონ დოლარად“. (საქართველოს ....2018:1-2)<sup>3</sup>

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მსხვილმა ენერგოპროექტი არის „შუახევი ჰესი“, რომელმაც 2020 წლის გაზაფხულზე დაიწყო ფუნქციონირება და უკვე წელიწადზე მეტია, რაც წარმატებით მუშაობს. „შუახევი ჰესი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის ენერგოდეფიციტის პერიოდში. „შუახევი ჰესი“ წარმოადგენს დღე-ღამური რეგულირების ჰესს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნისთვის მაღალი მოთხოვნის დროს ელექტროენერჯის მიწოდების პროცესში. „შუახევი ჰესი“ ელექტროენერჯით ხელს უწყობს შიდა წარმოების ზრდას და ამავდროულად ქვეყნის იმპორტირებულ ენერჯიაზე დამოკიდებულების შემცირებას. „შუახევი ჰესის“ მშენებლობა ზემო აჭარაში, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განხორციელდა.<sup>4</sup>

კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯია“ პროექტის მშენებლობის ეტაპზე წარმოადგენდა აჭარის რეგიონის უმსხვილეს დამსაქმებელს, რომელმაც 1000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. „შუახევი ჰესის“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სოციალური პროექტი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ 8 მილიონი შეადგინა. „შუახევი ჰესს“, მშენებლობა განხორციელდა ნორვეგიელი და ინდოელი ინვესტორების მიერ, პროექტს ოპერირების ეტაპზე ახალგაზრდა ქართველი ინჟინრები მართავენ. ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია ყოველდღიურად მიეწოდება საქართველოს მოსახლეობას. „შუახევი ჰესი“ წარმოადგენს ჯამურად 187 მეგავატ სიმძლავრის ჰესების კასკადს. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 510 მილიონ დოლარს აჭარბებს.

<sup>3</sup> შენიშვნა: საქართველოს TOP ინვესტორი კომპანიები, <https://forbes.ge/saqarthvelos-top-investori-k/>

<sup>4</sup> [https://netgazeti.ge/news/528838/?fbclid=IwAR1JS86coGFfhaqKPClprjISCHEgvCqtKHD4TxgZC2D22RWu1eUacNca\\_tg](https://netgazeti.ge/news/528838/?fbclid=IwAR1JS86coGFfhaqKPClprjISCHEgvCqtKHD4TxgZC2D22RWu1eUacNca_tg)

## 2.4 კვლევითი ნაწილი


მოცემულია ლინკი სადაც ჩამოთვლილია კითხვები სავარაუდო პასუხებით იმის შესახებ თუ რა ზეგავლენას ახდენს ინვესტიციები ბიზნეს-გარემოზე, გამოიკითხა საზოგადოების გარკვეული ნაწილი.

ქვემოთ მოცემულია დიაგრამები, რომლის მიხედვითაც კარგად ჩანს, გამოკითხულ საზოგადოებას როგორ ესმის ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები.

დიაგრამა №3

1.ინვესტიცია არის

57 პასუხი



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის რომ ეს არის დაბანდება მოგებისა და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ნებისმიერი სახით ფულადი სახსრების მიღებაში შედის ინვესტიცია, მაგრამ მხოლოდ ინვესტიცია არ იგულისხმება ამ პასუხში, ასე რომ სწორ და შედარებით ზუსტ პასუხად შეგვიძლია უმრავლესობის აზრი მივიღოთ. ამ პასუხიდან ნათლად ჩანს თუ რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება ინვესტიციების რაობასთან დაკავშირებით.

დიაგრამა №4

2.ვინ არის ინვესტორი?

57 პასუხი




შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ჭეშმარიტ აზრზე დგას, შესაძლებელია რომელიმე გამოკითხულთა შორისაც კი იყოს ინვესტორი.

**დიაგრამა №5**

3. როგორ გავლენას ახდენს ინვესტიციები ბიზნეს გარემოზე?

57 პასუხი



**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

უმეტესი ადამიანის აზრით ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს ბიზნეს გარემოზე და რატომაც უნდა ეს ასეცაა, მაგრამ გასათვალისწინებელია ინვესტიციების ხანგრძლივობა ის გრძელვადიანია თუ მოკლე ვადიანი, რადგან ინვესტიციებს უარყოფითი ეფექტებიც აქვს სხვადასხვა ტექნიკურ თუ ფინანსურ საკითხებში. სავარაუდო პასუხები შერჩეულია სიმარტივის მიხედვით.

**დიაგრამა №6**

4. როგორ განიხილება ინვესტიციების ეფექტიანობა?

57 პასუხი



**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

როგორც აღვნიშნეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების თვალსაზრისით, ასე რომ სწორედ 71,9%-ის აზრი უფრო მყარია ინვესტიციების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ამ პასუხებიდან გამომდინარე, როდესაც მივდივართ ინვესტიციების სიღრმისეულ განხილვაზე, უკვე საზოგადოების ის

ნაწილი რომელიც წინა დიაგრამებზე უმრავლესობაში იყვნენ, ხვდებიან უმცირესობაში. ეფექტიანობა გულისხმობს 71,9% ის პასუხს მაგრამ დანარჩენი პასუხებიც არ არის აზრს მოკლებული თუ ინვესტიციების ეფექტიანობაზე არ გვექნებოდა საუბარი, რადგან შესაძლებელია ინვესტირება ვერ იყოს სწორად გათვლილი, რაც მიგვიყვანს უარყოფით შედეგებამდე.

**დიაგრამა №7**

7.ინვესტიციების გამოსყიდვის პერიოდი (PayBack Period – PB) არის  
57 პასუხი




**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

აქაც აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ინვესტიციების გამოსყიდვის პერიოდი გულისხმობს პირველ პასუხს, რაც შეეხება მეორე პასუხს შესაძლებელია ესეც მივიღოთ, ინვესტიციების გამოსყიდვის პერიოდში დომინირებს სტანდარტული ფულადი ნაკადები ხოლო დისკონტირებული გამოსყიდვის პერიოდი მისგან განსხვავებით გამოიყენებს არა სტანდარტულ, არამედ დისკონტირებულ ფულადი ნაკადებს.

**დიაგრამა №8**

8.საინვესტიციო პროექტების ფინანსური ეფექტიანობა ითვალისწინებს პროექტის განხორციელების ფინანსურ შედეგებს მის უშუალო მონაწილეთათვის  
57 პასუხი




**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

ისინი ვინც ნაწილობრივ ეთანხმება, ვიმედოვნებ რომ ფინანსურ ეფექტიანობას უფრო ვრცელი ასპექტებით განიხილავს, არ გამოვარჩევ არცერთ პასუხს რადგან გამოკითხვის მიზანი არ არის გავიგოთ გამოკითხულ ადამიანს აქვს თუ არა აკადემიური განათლება.

**დიაგრამა №9**

9.ეკონომიკური ეფექტიანობა ასახავს თუ როგორ ზემოქმედებს საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის პროცესი გარე სამყაროზე და ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების იმ შედეგების და ხარჯების თანაფარდობას, რომლების შეფასებაც რაოდენობრივად შეუძლებელია.

57 პასუხი




**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

ამ პასუხებზეც შეგვიძლია ის აზრი გავატაროთ რაც მე-8 დიაგრამაში ჩამოვაცალიბეთ.

**დიაგრამა №10**

13.თქვენი აზრით არის თუ არა საქართველოში უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემო?

57 პასუხი



**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით


ვთვლი, რომ ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას ამას რომ ვეკითხებით, თვალწინ წარმოუდგება „ნამახვანჭესი“-ს საკითხი და კორონა პანდემიით შექმნილი

ვითარება საქართველოს ეკონომიკურ ჭრილში, და პასუხიც შესაბამისია, უმრავლესობა თვლის ნაწილობრივ მიმზიდველი საინვესტიციო გარემო გვაქვს.

#### დიაგრამა №11

14. თქვენი აზრით რომელ სფეროშია საჭირო ინვესტიციების მოზიდვა?

57 პასუხი



**შენიშვნა:** დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით

ისეთი ქვეყანაში, როგორც საქართველოა (იგულისხმება განვითარების თვალსაზრისით) საციცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებია იმ სფეროების ათვისება და განვითარება რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სოციალური კუთხითაც. სწორედ სამედიცინო სფეროში ინვესტიციების მოზიდვა უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მედ-პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და მოკლედ მედიცინის განვითარებას. ტურიზმის საშუალებით ქვეყანაში შემოედინება უცხოური ვალუტა რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსახლეობის კეთილდღეობას, ეს კი აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, ამიტომ საკურორტო ზონების მოწყობა განვითარება ესაჭიროება საქართველოს. სამშენებლო და მოსახლეობის სფერო უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ასევე ეხება ტურიზმის განვითარებას შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით..., ასე რომ ამ კითხვაზე უმრავლესობის პასუხი ლოგიკურია, უმცირესობის კი კონკრეტული.

## დასკვნა

საინვესტიციო პროექტის შესრულება პროექტისათვის საჭირო ზომების განხორციელების გარეშე შეუძლებელია. საჭირო ზომებს მიეკუთვნება: წინა საინვესტიციო კვლევების ჩატარება, ანალიზი იმას თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის რეალიზება, პროექტის რეალიზებისათვის საჭირო კონტრაქტების გაფორმება, დაფინანსების ორგანიზება, საჭირო რესურსული უზრუნველყოფა, მშენებლობა, ობიექტის ჩაბარება ექსპლუატაციაში. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა საინვესტიციო პროექტის სტრუქტურული დაყოფა ურთიერთდაკავშირებული სტადიებად, რის მიზანსაც ეტაპობრივი მართვის ოპტიმიზირება წარმოადგენს.

საინვესტიციო პროექტის ეფექტიანად მართვას თანამედროვე ქართულ ეკონომიკაში საბოლოო ჯამში, აფერხებს ქვეყანაში არასაკმარისი შიდა რესურსების სიმცირე. ეს იმით იხსნება, რომ საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდის ან დამატებითი სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფის გზით. გარკვეული საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსები ყოველთვის შეზღუდულია, რადგან პირველ რიგში, აუცილებელია სასიცოცხლოდ მნიშვნელობის საწარმოო დარგების მხარდაჭერა და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტების განხორციელება.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსების შეზღუდულობის გამო საწარმოები მიმართავენ საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას საკუთარი და მოზიდული სახსრებით, საკუთარი სახსრებია: საწესდებო კაპიტალი, ფიზ პირების შენატანები, დაგროვილი რეზერვები. მოზიდული სახსრებია: კომერციული კრედიტი, საბანკო კრედიტი, ობლიგაციები.

საინვესტიციო პროექტების დაფინანსების შემდეგ მნიშვნელოვანი საკითხია ფინანსების სწორი მიმართვა კონკრეტულ საკითხებში და პროექტების შემდგომი მართვა, სწორედ, რომ ქართულ კომპანიებში საინვესტიციო პროექტის მართვა მნიშვნელოვნად გამომდინარეობს იქედან, თუ რა ტიპის საინვესტიციო პროექტია ის, სოციალური, კომერციული თუ საზოგადოებრივი.

ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად ნებისმიერი ტიპის საინვესტიციო პროექტის განხორციელება დამოკიდებულია არა მხოლოდ მის დაფინანსებაზე, მართვაზე და რეალიზების ორგანიზებაზე, არამედ ყველაზე დიდ გავლენას ახდენს პროექტისათვის შესაბამისი საინვესტიციო გარემოს არსებობა. საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გეოგრაფიულად ხელსაყრელ ტერიტორიაზე და პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. უნდა განისაზღვროს რას ვთავაზობთ ინვესტორს და რას გვთავაზობს თვითონ, გასათვალისწინებელია სხვა მრავალი რიგი ფაქტორები, რომელენიც ინვესტიციას აქცევს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ზრდის ერთ - ერთ მამოძრავებელ ძალად. ასეთი მამოძრავებელი ძალა არის ინვესტირება ქვეყნის შიგნით მაკროეკონომიკურ გარემოში მოქმედი სუბიექტების მიერ და უცხოური ინვესტიციები, რათქმაუნდა მნიშვნელოვანი წილი უცხოურ ინვესტიციებზე მოდის. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რამოდენიმე წელი საქართველო მართლაც არ უჩივის ინვესტორებს, განსაკუთრებით უცხოელ ინვესტორებს, რაც ნამდვილად სახარბიელოა ქვეყნისთვის. არა ერთი უცხოელი დაინტერესებული ჩვენი ტერიტორიული მდებარეობით, ბუნებრივი რესურსებით, უნიკალური ნედლეულით და კლიმატით.

როგორც აღვნიშნეთ უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული მდებარეობაც უწყობს ხელს. მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, სარკინიგზო საავტომობილო და მილსადენი მარშრუტების საქართველოში წარმოებული ბიზნესისათვის სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა.

საწარმოს საინვესტიციო პროექტის განხორციელებაში უცხოური ინვესტირების დამახასიათებელი ნიშანია მათი მიზნობრივი დანიშნულება, გრძელვადიანობა და ინვესტორისთვის საწარმოზე მმართველობითი კონტროლის მინიჭება. საქართველოში უცხოური ინვესტიციების რეგიონული განაწილება ნათლად აჩვენებს, რომ საინვესტიციო კლიმატი ქვეყანაში სხვადასხვაგვარია და რადიკალური რეგიონთაშორისი განსხვავებებით ხასიათდება. ფაქტიურად უცხოური ინვესტიციები მიმართულია მხოლოდ ორი რეგიონისკენ: თბილისისკენ და აჭარისკენ, რაც ქვეყნის რეგიონული თანმიმდევრული განვითარების ჭრილში

ძალიან დიდ პრობლემებს შექმნის, რადგან სადაც დოვლათი იქმნება იქ ხდება სხვა რეგიონებიდან მოსახლეობის გადინებაც, აღნიშნულის შედეგია ის, რომ სოფლებიდან მოსახლეობის კლებასთან ერთად იზრდება ბათუმსა და თბილისში მოსახლეობის რაოდენობა, რაც უკვე სხვა ტიპის ურბანულ დისკოფორტსა და ზოგადად ქაოტურ განვითარებას იწვევს.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საინვესტიციო გარემოს ფორმირებასთან და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების განსაზღვრასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირებისათვის საჭირო პრინციპებისა და პრიორიტეტების შემუშავება, რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებასა და წარმართვასთან.

მრავლად არის საქართველოში განხორციელებული საინვესტიციო პროექტები და დღეის მდგომარეობით დამუშავების პროცესშია რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, ზოგ პროექტს ყავს მოწინააღმდეგეც და მომხრეც, ამის ნათელი მაგალითია „ნამახვან ჰესის“ საკითხი რის აშენების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს 1 წლიანი აქციები. დავაფიქსირებ ჩემს აზრს ამასთან დაკავშირებით, რომ საქართველო მდიდარია წყლის რესურსით რის ათვისებაც სასიკეთო უნდა იყოს ქვეყნისთვის, ეს სიკეთე დამოკიდებულია კონტრაქტორი ორივე მხარის მიერ შეთანხმებულ პირობებზე, კვლევებზე და სწორ ორგანიზებაზე. უნდა აშენდეს სწორად გათვლილი და ორიენტირებული ქვეყნის არამხოლოდ ეკონომიკური არამედ სოციალურ კეთილდღეობისათვის

საქართველოს გააჩნია დიდი პოტენციალი, სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი კაპიტალი რაც გამოიხატება ბუნებრივი რესურსების სიმდიდრეში, სახელმწიფო პოლიტიკის მიერ განხორციელებული სწორი ანტიკრიზისული გეგმა განაპირობებს ამ რესურსების მაქსიმალურ ათვისებას, რაც შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, სოციალურ სიკეთეს და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აღმავლობას. ამასთან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინვესტირება სოფლის მეურნეობაში რაც ხელს შეუწყობს იმ სიკეთის მიღებას ქვეყნისთვის, რომელიც შეაჩერებს მიგრაციას სოფლიდან ქალაქში, ხელს შეუშლის ურბანული პრობლემის წარმოშობას და უზრუნველყოფს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ქუთათელაძე რ., გვაჯაია ლ., ყურაშვილი გ., „ინვესტიციები“ (სახელმძღვანელო), თბ., 2011წ.
2. გიტმანი ლ. „ინვესტირების საფუძვლები“, თბილისი 2000წ.
3. გიტმანი ლ. და სხვა, „ინვესტირების საფუძვლები“, თბილისი 2012 წ.
4. გრეჰემი ე. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა, ეკონომიკური რეფორმები დღეს“, თბილისი 1999წ.
5. თეთრუაშვილი ზ. „ინვესტიციური პროცესების რეგიონული რეგულირება საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, გამომცემლობა „ლოგიქსი“, გორი 1998 წ.
6. თურმანიძე ა. „ ინვესტიციების საქმიანი ურთიერთობის ფორმები“, თბილისი 2009წ.
7. კიკნაძე ნ. „ინვესტიციების მართვა სამეწარმეო ფორმების ინოვაციურ პროცესებში“, სადოქტორო დისერტაცია. თბილისი 2008წ.
8. კურტანიძე გ. „ფინანსური ინვესტიციების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, სადოქტორო დისერტაცია. თბილისი 2015 წ.
9. მატუა თ. „ საინვესტიციო პროექტების ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფა კერძო კომპანიებში“, სადოქტორო დისერტაცია . თბილისი 2016წ.
10. საქართველოს კანონი „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“, თბილისი. 2016წ.
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; (იანვარი, 2020წ) მოძიებულია 15 აპრილი, 2021წ., [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo)
12. საქართველოს TOP ინვესტორი კომპანიები, მოძიებულია 20 მაისი, 2021წ. , <https://forbes.ge/saqarthvelos-top-investori-k/>
13. ფალელაშვილი ი. „საინვესტიციო პროექტების შეფასება და დაგეგმვა“, თბილისი 2010წ.
14. ფუტყარაძე ნ . „საინვესტიციო პროექტები და ბიზნესის განვითარების პერსპექტივები აჭარაში“, სადოქტორო დისერტაცია. ბათუმი 2013წ.
15. ქოქიაური ლ. „უცხოური ინვესტიციები“, თბილისი 2017წ.

16. ქოქიაური ლ., ბებიაშვილი ლ. „საინვესტიციო პროექტების თეორია, ანალიზი, მართვა,“ თბილისი 2010წ.
17. ჩხაიძე ი. „პროექტების მართვის საფუძვლები,“ ბათუმი 2009 წ.
18. ცინარიძე რ. „რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის აქტუალური საკითხები ,“ .თბილისი, 2013წ.
19. ჭარია ვ. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის,“ სადოქტორო დისერტაცია, თბილისი 2015წ.
20. ჯაფარიძე დ. „ინვესტიციურ-ინოვაციური პროექტების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების მართვა სარკინგზო ტრანსპორტზე და მისი გაუმჯობესება,“ სადოქტორო დისერტაცია. თბილისი 2012წ.

## დანართები და დამატებები:

იხ. გამოკითხვის ლინკი:


([https://docs.google.com/forms/d/1qg6Lw2TsfItlqovMbi4fWza\\_NaKcDyE4BPY5NcdjeVI/edit](https://docs.google.com/forms/d/1qg6Lw2TsfItlqovMbi4fWza_NaKcDyE4BPY5NcdjeVI/edit)).

ქვემოთ მოცემულია გამოკითხულთა ასაკი, პროფესია და მოკლე ტექსტური პასუხები, ივესტიციებთან, საინვესტიციო პროექტებთან, დაკავშირებით დასმულ კითხვებზე:

დიაგრამა №12

16. თქვენი ასაკი


57 პასუხი



დიაგრამა №13

17. თქვენი პროფესია:

57 პასუხი



კითხვაზე პასუხები:

## 5. როგორ გესმით საინვესტიციო პროექტი? გთხოვთ დაწეროთ მოკლე პასუხი

33 პასუხი

.

გეგმა, რომლის მიხედვით ინვესტორს დაფინანსების სურვილი გაუჩნდება

პროექტი, რომელიც ხორციელდება ბიზნეს სუბიექტის ან ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების დაბანდების შედეგად

პროექტი ინვესტიციისათვის

არ ვიცი

შეიქმნება შეიქმნება შეიქმნება იმ შეიქმნება შეიქმნება

პროექტი რომელშიც დაბანდებული თანხა ბევრად ნაკლებია სამომავლო მოგენაზე.

პროექტი რომელშიც კაპიტალდაბანდება მომავალში მომგებიანი უნდა იყოს

ნებისმიერ სახელმწიფოში შეიმუშავება გეგმა ეკონომიკის გასაძლიერებლად და დაპროექტდება ესა თუ ის საინვესტიციო პროექტი

საინვესტიციო პროექტი ესაა გარკვეულ დონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტირების შედეგად წინასწარ განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ინვესტირების გაანხორციელების წინასწარი გეგმა

პროექტი მიზანმიმართულია კომპანიის წარმოების ზრდასთან, ან სახელმწიფოში რომელიმე ეკონომიკური სექტორის განვითარებასთან

მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ინვესტიცია რაიმე სახის

მოგების მიღების მიზნით განხორციელებული რაიმე საინვესტიციო საქმიანობა

პროექტი, რომელშიც წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობის შედეგად სარგებლის მითების გზა და მოითხოვს მასში თანხების დაბანდებას.

საინვესტიციო პროექტი გულისხმობს, ისეთ კაპიტალურ ხარჯებს, რომელიც გაწეულია პროექტის განსახორციელებლად ცენტრალური ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ან ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ან/და მათი ბიუჯეტების სახსრებით.

კაპიტალის დაბანდება მოგების მიღების მიზნით, რომელსაც ახასიათებს სტრუქტურა

სრულყოფილი ბიზნეს იდეა თავისი ხარჯებით, საჭირო სახსრების მოძიებისთვის.

საინვესტიციო პროექტია საინვესტიციო ბიზნეს გეგმა რომელსაც ინვესტორი გეგმავს რომ განახორციელოს პოტენციურ ბიზნეს გარემოში

კომპანიის გეგმა, რომელითაც გარკვეული პერიოდს შემდეგ კომპანიამ უნდა მოახერხოს ბაზარზე პოზიციონირება

მიზნებისა და შედეგების მქონე აქტივობები, რომელიც გრაფიკის მიხედვით ხორციელდება, სხვადასხვა სტრუქტურული ორგანიზაციის საშუალებით და ქმნის კონკრეტული ჯგუფისათვის სარგებელს

კარგია, დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, ერთს ვიტყვოდი მომზადებული უნდა იყოს საზოგადოება ესმოდეს ინვესტირების მიზანი და არსი, პრიორიტეტული დარგი უნდა იყოს ინვესტირებული, ფულად დახმარებების გაცემას დაფინანსება ჯობია და ერთი ორი წლის მერე უნდა მოვთხოვოთ პასუხი რა გააკეთა, მისი დაწერილი ბიზნეს გეგმა წავაკითხოთ და რა შედეგი მიიღო, ერთი წიტყვით შევარგოთ საზოგადოება საქმეს და პასუხისმგებლობას, ვასწავლოთ როგორ იცხოვრონ.



დაბანდება

საინვესტიციო პროექტი ეს არის ის ყველაფერი რაც ჩაფიქრებულია განსახორციელებლად და იგეგმება ორგანიზაციაში

.....

პროექტი ფულის მოგების მიღების მიზნით

ბიზნესში რაიმე ახალი იდეის არსებობის შემთხვევაში ინვესტიციების განხორციელების საშუალება

საინვესტიციო პროექტი არის ფულის(კაპიტალის)დაბანდება ფინანსების გაზრდის ეფექტიანობისთვის.

მაგალითად კაპიტალის დაბანდება ამა თუ იმ პროექტში მოგების მიზნად

ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესება

კაპიტალის დაბანდება ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების მიღების მიზნით

## 6.საინვესტიციო პროექტების დაფინანსების რომელ წყაროებს იცნობთ?

29 პასუხი

სახელმწიფო, კერძო

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია

საბანკო, უცხოური,კერძო და ა.შ

არ ვიცნობ

□□□□□□□□□□

კერძო სექტორს და ასევე სახელმწიფოს

სახ-ო დაფინანსებებს, აწარმოე საქართველო (რომელიც ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებული, რამაც წესით შემდგომში ქვეყნის მშპ-ს ზრდაზე უნდა იმოქმედოს დადებითად)

ინვესტორი. სახელმწიფო ხელშეწყობა გრძელვადიანი კრედიტი.

შიგა - წმინდა მოგება, გაუნაწილებელი მოგება, ამორტიზაციის ფონდი, სტაბილიზაციის ფონდი; გარე - საბანკო დაკრედირება, ლიზინგი, ფორგეიტინგი ფაქტორინგი, სახელმწიფო სუბსიდირება და ა.შ.

შიდა და გარე წყაროები,კერძო და სახელმწიფო და ასე შემდეგ

მსოფლიო საინვესტიციო ბანკი

ლიზინგი, ფრანჩაიზინგი, კრედიტი...

ბანკის კრედიტი, მოგება, რეზერვები

სესხი, გრანტი, პირდაპირი ინვესტიცია

საინვესტიციო ცენტრალური ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ან ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ან/და მათი ბიუჯეტების სახსრებს.

სახელმწიფო, კერძო, საინვესტიციო ფონდების მიერ

უცხოური ინვესტიციები, შიდა ინვესტიციები, საბიუჯეტო ინვესტიციები

სტარტაპი, სესხი ბანკიდან

გრანტები

უსაიდი, ევროკავშირი, აგრო ბიზნესი...



საერთაშორისო

.

"აწარმოე საქართველოში"

სადღა ინვესტორი

აწარმოე საქართველოში

არცერთს

ვენჩერული, ფრენჩაიზინგი და ა.შ

10. მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი, თუ როგორი საინვესტიციო გარემოა საქართველოში  
40 პასუხი

ცუდი

ინვესტირებისათვის ხელსაყრელი გარემო

Cudi

განვითარებადი და მზარდი

საქართველოში მცირე ხარვეზების მიუხედავად ვფიქრობ საინვესტიციო გარემო ნორმალურია  
ნებისმიერი საინვესტიციო პროექტისთვის, თვა უკეთესი იქნება ამ სფეროს ცალსახა გამიჯვნა  
პოლიტიკისგან და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა

კარგი

მეტნაკლებად ეფექტური

ნორმალური
იმპორტზე დამყარებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ინვესტიციების უმეგვლესობა უცხოური ბაზრიდან მდის
ვფიქრობ ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის დიდი ნაწილი ეთმობა ინვესტიციების დაბანდობას
საქართველოში ნაწილობრივ წაყოფიერი საინვესტიციო გარემოა
მსოფლიო ბანკის რეიტინგებით საკმაოდ ლიბერალური და ჯანსაღი ბიზნეს-გარემოა საქართველოში, შესაბამისად სრულიად მისაღები საინვესტიციო კლიმატია ქვეყანაში.
საქართველოში საინვესტიციო გარემო არაა საკმარისად მიმზიდველი და უნდა მოვახერხოთ მისი გაუმჯობესება შესაბამისი ხერხებითა და საშუალებებით.
საკმაოდ ნორმალური
შეფარვითი თავისუფლება
არასტაბილური
საინვესტიციო გარემო საქართველოში სახარბიელო არაა მარა ვფიქრობ არც ცუდად გვაქვს საქმე.
მიმზიდველი, ბუნებრივი გარემო, კანონცდებლობა, რეფორმების სიხშირე
დღესდღეობით სუსტი, მაგრამ ზრდადი საინვესტიციო გარემოა საქართველოში, ინვესტიცირება ხდება მცირე პროექტებზე და დიდი პროექტები არასაკმარისი სანდოობის გამო დაფინანსებას ვერ იღებს.
უცხიელი ინვესტორებისთვის საკმაოდ მიმზიდველია, და ქართველ ინვესტორს არც უღირს ფულის დაბანდება ქართულ ბაზარზე (კონკურენციას ვერ უწევს დიდ ინვესტირებს)
ზუსტი ინფორმაცია არმაქვს მაგრამ რადგან ვხედავ ამდენ უცხოურ ინვესტიციას ვფიქრობ კარგი გარემო უნდა იყოს ამ კითხვით

საინვესტიციო გარემო საქართველოში არის ძალიან ცუდი საერთოდაც არაა საინვესტიციო გარემო

საქართველოში ნორმალური საინვესტიციო გარემოა , შესაძლებელია უფრო უკეთესი გახდეს რისი მთავარი საფუძველი იქნება სასამართლოს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი ასევე მოქნილი საგადასახადო კონმდებლობა მცირე გადასახადები

როგორც ვხედავ სოფლისმეურნეობაში საკმაოდ კარგად მიდის და სწორია ეს დარგი ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოში დაცლილია ნახევარზე მეტ სოფლები, კარგი იქნება მაგალითად აჭარაში კვლევა თუ ჩატარდება და გრძელვადიანი პროექტები შემუშავდება დატრენინგდება მოსახლეობა რისი მოყვანა შეუძლიათ, იქნება უწყვეტი წარმოება, შეიქმნება კოპერატივები, რადგანაც მცირე მიწიანია სხვანაირად არ გამოვა და ეყოლებათ დისტრიბუტორები სოფლებს რეალიზაციაზე იმუშავებს სხვა კომპანია გლახს გერმერს არ დასჭირდება სახლიდან გასვლა რეალიზაციისთვის ვფიქრობ ძალიან მაგარი იქნება.

ნაკლებად მიმზიდველი

მიმზიდველი ინვესტორებისთვის

არც თუ ისე სახარბიელო

უარყოფითი

ნაკლებად სანდო, იგრზნობა კორუფციაც

ძალიან ბევრი აუთვისებელი ტერიტორია გვაქ, სადაც შესაძლებელია უამრავლი სხვადასხვა დანიშნულების მშენებლობების განხორციელება. ყველაზე მთავარი ის არის რომ ტურისტულად მზარდი ქვეყანა ვართ და წლიდან წლამდე ძალიან იზრდება ინტერესი საქართველოს მიმართ

საქართველოში ძალიან კარგი საინვესტიციო გარემოა რადგან საქართველო ტერიტორიალად და რელიეფულად ძალიან კარგი ქვეანაა

საინვესტიციოდ კარგი გარემოა

ალბათ საშუალო დინის.

უცხოელებისთვის უკეთესი ვიდრე მკვიდრი მოსახლეობის

ვფიქრობა კარგი, მაგრამ საჭიროებს კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებას

## 11. მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება უცხოურ ინვესტიციებზე

40 პასუხი

აუცილებლად გვჭირდება
Kargi
დადებითად
ვფიქრობ რომ უცხოური ინვესტიციები მომგებიანია ყველა ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის, რადგანაც შიდა საინვესტიციო რესურსების ნაკლებობაა, უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე და ხელს უწყობს დასაქმების დონის ზრდას, რაც რატომღაც კარგია ჩვენი ქვეყნისთვის
დადებითი
აუცილებელი ქვეყნის განვითარებისთვის
საკმაოდ მაღალია
დადებითი! წვრილმანები კი შორს წაგვიყვანს
უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებისათვის, მაგრამ შიდაც აუცილებელია
აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის
უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში საკმაოდ მდგრად ეკონომიკას ქმნის თუმცა შიდა ინვესტიციები მეტად სარფიანი და მომგებიანია.
მეტი უცხოური ინვესტიცია მაღალტექნოლოგიურ დარგებში, ხოლო სტრატეგიულ დარგებში მეტი ადგილობრივი, სახელმწიფო ინვესტიცია
უცხოური ინვესტიციების შემოღინება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისა და ეკონომიკისათვის

ის მთავარი ინსტრუმენტია ეკონომიკური ზრდის
უცხოური ინვესტიციები ძალიან კარგია ეროვნული ვალუტისთვის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის
კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე არახელსაყრელი გარემოა ზოგი პროექტისთვის
გვჭირდება
უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას
ვფიქრობ უცხოური ინვესტიციები – ქვეყნის წარმოებასა და ბიზნესში უცხოური საწარმოს მიერ კომპანიის შექმნით ან არსებული ბიზნესის გაფართოების კუთხით მნიშვნელოვან როლს თამაშობს და საინტერესოა მისი მოზიდვა ქვეყნისთვის.
რატომაა დადებითი, სოციალური ეფექტის მატარებელია, ქმნის სამუშაო ადგილებს, ტენოგოლოგიური გადაღინების ეფექტი აქვს
უცხოური ინვესტიციაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის.
დადებითად მოქმედებს ქვეყნის სადაგადასახადო ბალანსზე. ამავდროულად ნაკლებად განვითარებული ქვეყნისთვის არის სიახლეების დანერგვის შესაძლებლობა
დიდად არმომწონს, რადგან ინვესტორს გააქვს ჩვენი ქვეყნიდან ძალიან დიდი ფული
ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია ინვესტიცია
უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის , ეკონომიკის ზრდისთვის განვითარებისათვის
კარგია თუ ვინმე ქვეყნის განვითარებას ხელს შეუწყობს ამაში ცუდი არაფერია, ამასთან ერთად თუ ტრენინგებს ჩაუტარებთ განვითარების კუთხით, ვაჩვენებთ უცხოეთს ვინ როგორ დაიწყო საქმიანობა და როგორ მიაღწია წარმატებებს ესეც მოტივაციაა.
მისასალმებელია

მივესალმები, მიწების გასხვისები გარეშე

მისაღებია, მიწის ხანგრძლივი ვადის გადაცემის გარეშე

ძალიან კარგია როცა უცხოელი ინვესტორები ინტერესდებიან ჩვენი ქვეყნით და ფულის დაბანდება სურთ, შევუქმნათ უნდა მათთვის საჭირო გარემო თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ ამით დავაზარალოთ ჩვენი მოქალაქეები და ჩვენი გადაწყვეტილებებით გაღიზიანებული დავტოვოთ ისინი

მაგას ინვესტიცია არ ქვია ყიდვა უფრო გამოდით

ძალიან კარგია

მომხრე ვიქნები ჩემი ქვეყნისთვის ინვესტიციებს თუ განახორციელებს უცხოელი

დამოდენი პროექტს მივესალმე. ხოლო იმას რომელიც ზიანს მოგვაყენებს ეკოლოგიურად არა.'

ნაწილობრივ კარგია, თუმცა ნაკლებ სამუშაო ადგილს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის

მივესალმები თუ ესა თუ ის პროექტი არ მოუტანს ზიანს სხვადასხვა გარემოებებს

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია

12.რა აზრის ხართ, ნამახვანჰესი უნდა აშენდეს თუ არა? რატომ ?

42 პასუხი

კი

არ უნდა აშენდეს

არა.

არა

კი,რადგან ეკონომიკურ სარგებელს მოგვითანს

Ara

უნდა აშენდეს.როცა უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი გასაჯაროვდება.

ვფიქრობ, ცალსა გადაწყვეტილების მიღებამდე საფუძვლიანად უნდა შეფასდეს მისი გავლენა ეკოლოგიაზე და ინვესტორთან გაფორმებული შეთანხმების პირობები, ჰესის პრივატიზაციასთან და სხვა დეტალებთან დაკავშირებით.

კი უნდა აშენდეს
კი, ქვეყანას ჭირდება წეტი ენერგია, და ენერგო დამოუკიდებლობა
დია, შეიძლება იქნას შექმნილი ენერგო უსაფრთხოება, შეიძლება შეიქმნილი ენერგო უსაფრთხოება, შეიძლება შეიქმნილი ენერგო უსაფრთხოება, შეიძლება შეიქმნილი ენერგო უსაფრთხოება, შეიძლება შეიქმნილი ენერგო უსაფრთხოება
არა, იმიტომ :დ
სიმართლე გითხრათ კარგად ჩახედული არ ვარ ამ საკითხში
არა. ძალიან ბევრი მიზეზია სამაგისოდ, მაგრამ ჰესები ზოგადად უნდა აშენდეს.
უნდა აშენდეს მაგრამ არა კონფლიქტურ სიტუაციაში.
უნდა აშენდეს, მაგრამ არა თურქული ინვესტიციით და არა 99 წლიანი იჯარა-გამოსყიდვით.
კი უნდა აშენდეს რატომაუნდა, მაგრამ ისე უნდა მოხდეს ეს ყველაფერი რო მოსახლეობა უკმაყოფილო არ იყოს და მეტად ეფექტიანი იყოს ჰესის მუშაობა
არა,რადგან ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს
უნდა აშენდეს. რადგან ჩვენ გვჭირდება ენერგოდამოუკიდებლობა. რუსეთს უნდა ჩავეხსნათ. თუმცა გასხვისებით 50 წლიანი პერიოდი დიდია უნდა შემცირდეს 30 წლამდე.
კი უნდა აშენდეს, ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ აშენების კრიტერიუმები მკაცრად განსაზღვრული უნდა იყოს
კი, შვსაბამისი პირობებით, ეკონომიკის განვითარებისთვის არ უნდა დაიბლოკოს მსგავსი პროექტები
უნდა აშენდეს, ოღონდ გაუმჯობესებული პირობებით
უნდა აშენდეს, მაგრამ განსხვავებული მიდგომით და ხელშეკრულებით, იგივე სახელმწიფოს დაფინანსებით თუნდაც, როგორც ხუდონ ჰესთან დაკავშირებით იქნა მიღებული გადაწყვეტილება

უნდა აშენდეს.

არა, ეკოლოგია უპირველეს ყოვლისადა

უნდა აშენდეს.. იმიტომ რომ ინვესტიცია აუცილებელია გლქვეყნის განვითარებისთვის პლიუს ენერჯო რესურსების გამოყენებაც აუცილებელია

უნდა აშენდეს . საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისათვის და

თუ ქვეყანას ესაჭიროება ელექტრო ენერჯია იყოს დამოუკიდებელი უნდა აშენდეს, უკეთესი იქნება სამომავლოდ იყოს მზის ენერჯიის სადგურები და ინდივიდუალურები.

ჩვენთვის ცნობილი ხელშეკრულებით არა და თუ მართლა ისეთივე ინის მომტანია ბუნებაზე როგორც ამბობენ

თავს შევიკავებდი

მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ან ქართული ფულით,იმ შემთხვევაში თუ არ წარმოადგენს ეკოლოგიურ საფრთხის

ჩემი აზრით კარგი იქნება თუ აშენდება, თუმცა ის პირობები რა პირობებითაც ხდება მისი აშენება მიუღებელია ჩემთვის.

კი

არ უნდა აშენდეს რადგან გეოლოგიურად საშიშია

არა, ვფიქრობ რომ, ეკოლოგიურად მორალურად და ადამიანურად გვაზიანებს.@

არა, რადგან დააზიანებს გარემოს





განათლების სუბსიდირება

ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებს

აწარმოე საქართველოში პროექტის ფარგლებში გამხორციელებულ პროექტებს

არმახსენდება არცერთი

არცერთი მახსენდება

აწარმოე საქართველოში და სტარტაპ საქართველო

სოფლისმეურნეობაში განხორციელებულს, ყველა დარგში კიდე მეტია საჭირო მეცხოველეობაში, განათლება, სკოლამდელი აღზრდა საჭიროა კიდე.

ქუთაისის უნივერსიტეტი

სწავლის დაფინანსება

.

ანაკლიის პორტი არის მნიშვნელოვანი

ანაკლიის პორტი(ჯერ მიმდინარე პროექტია თუმცა ჩანაფიქრი კარგია)

არცერთს

აწარმოე საქართველოს ფარგლებში

ტურისტულ ინვესტიციებს არაუშავ.

